საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

59

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 30 (1046) | ოთხშაბათი, 22 მარტი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველოში

20 მარტს, ნაშუადღევს, თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დელეგაცია თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის მეთაურობით. როგორც გენერალმა გრაჩოვმა საქართველოს დედაქალაქის აეროპორტში განაცხადა, მისი ვიზიტის მიზანია, განიხილოს ორი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაცია, საზღვრების ერთობლივ დაცვაში შემდგომი თანამშრომლობისა და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგების პრობლემები.

იმავე დღეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რუსეთის თავდაცვის მინისტრს პავლე გრაჩოვს პირისპირ. შემდეგ საუბარი გაგრძელდა გაფართოებული შემადგენლობით ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის გენერალ თევდორე რეუტისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის გენერალ ვარდიკო ნადიბაიძის, სხვა ოფიციალურ პირთა მონაწილეობით.

შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია გამართული მოლაპარაკების შედეგებით და აღნიშნა, რომ განიხილეს ფართო სპექტრის საკითხები, კერძოდ, საქართველოსა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგების, სამხედრო კადრების მომზადების შესახებ. განსაკუთრებით შეეხნენ კონფლიქტების ზონებში მდგომარეობის პრობლემას. სახელმწიფოს მეთაურმა შენიშნა, რომ მხარეები, მისი აზრით, უახლოვდებიან კარგ ურთიერთგაგებას ამ საკითხზე და მისი გადაწყვეტა უნდა დაჩქარდეს.

პავლე გრაჩომ განაცხადა, რომ შეხვედრა სასარგებლო და კონსტრუქციული იყო, მიღებულია მთელი რიგი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი. როცა სამხედრო თანამშრომლობის საკითხს შეეხო, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ მიღწეულია მორიგება იმ ორი შეთანხმების მომზადებისა და ხელმოწერის შესახებ, რომელთა მიზანია საქართველოს სამხედრო კადრების მომზადება რუსეთის სასწავლებლებში და რუსეთში საქართველოდან და საქართველოში რუსეთიდან ჩასული საჰაერო ხომალდების დაჯდომის ტექნიკური უზრუნველყოფა. განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება რუსეთის მხარის დახმარებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, აგრეთვე, საჰაერო თავდაცვის საერთო სისტემის შექმნის საკითხები, აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე გენერალმა პავლე გრაჩომ განაცხადა, რომ რუსეთის შეხედულება ამ პრობლემაზე წინანდელია: საქართველო ერთიანი სახელმწიფოა და მისი რომელიმე ნაწილის ჩამოცილების საკითხი არ დგას და არც შეიძლება იდგეს. მე ჩამოვიტანე ამ კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მთელი რიგი წინადადებანი, და, ვფიქრობ, ერთმანეთს გავუგებთ, თქვა მან.

რუსეთის სამხედრო დელეგაციის ვიზიტი საქართველოში 23 მარტამდე გასტანს.

სურათზე: პირისპირ საუბრის დაწყების წინ.

გიორგი ცაგარელის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რწმუნებათა სიგელების გადაცემა

17 მარტს მოსკოვში, კრემლის გიორგის დარბაზში, გაიმართა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ვაჟა ლორთქიფანიძის მიერ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინისათვის რწმუნებათა სიგელების გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ბატონმა ელჩმა დაუდასტურა თავისი დიდი პატივისცემა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, კიდევ უფრო გაღრმავდება, გადასცა მას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გულწრფელი მისალმება. ბატონმა ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ საელჩო მზად არის მთელი ძალისხმევა მოახმაროს ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას, მიანიჭოს მას თვისებრივად ახალი ხასიათი ორი ქვეყნის ხალხების საკეთილდღეოდ.

რწმუნებათა სიგელების გადაცემის საზეიმო ცერემონია ხასიათდებოდა განსაკუთრებული გულთბილობითა და მეგობრული სულისკვეთებით, რითაც იგი გასცდა საოქმო ცერემონიის ფარგლებს.

საპასუხო სიტყვაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა:

მინდა დიდი კმაყოფილებით მივესალმო თავად ამ აქტს, — ედუარდ შევარდნაძის სახელით ჩემთვის რწმუნებათა სიგელების გადმოცემას იმის შესახებ, რომ თქვენ ხართ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. მე კარგად ვიცნობ თქვენს ბიოგრაფიას, კარგად ვიცნობ თქვენი მუშაობის გამოცდილებას, დიდი და დაძაბული მუშაობის გამოცდილებას. და აი, ახლა თქვენ ახალ დიდ სამუშაოზე, დიპლომატიურ სამუშაოზე ხართ.

სულ ახლახან გაიმართა დიდი მოლაპარაკება ედუარდ შევარდნაძესთან ჩვენი შემდგომი ურთიერთობის, ყველა სფეროში თანამშრომლობის განვითარების რეალიების შესახებ. უნდა გითხრათ, რომ ამ მოლაპარაკებამ დიდი წარმატებით ჩაიარა და მე უკვე მოვაწერე ხელი იმ შეთანხმებებს, რომლებიც წარმოადგინეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, თავდაცვის სამინისტრომ, სასაზღვრო სამსახურმა და სხვა სახელმწიფო უწყებებმა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ისტორიულად მჭიდრო და კეთილმეზობლური ურთიერთობა საქართველოსთან მომავალში უფრო განმტკიცდება. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი კი არ გაუარესდება, არამედ მხოლოდ გაუმჯობესდება. ჩვენ ამის დიდი იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ ასე იქნება.

ამიტომ, გთხოვთ, ერთხელ კიდევ გადასცეთ პატივცემულ ედუარდ შევარდნაძეს ჩემი საუკეთესო სურვილები და უთხრათ, რომ ჩვენ საქართველოსთან ერთად ვართ. გისურვებთ წარმატებებს!

რუსთაველის თეატრის შენობის გადასარჩენად

18 მარტს სახელმწიფოს მეთაურთან — პარლამენტის თავმჯდომარესთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი, რომელიც ეხებოდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის ტექნიკურ მდგომარეობას.

თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ირაკლი მენაღარიშვილი, კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე, რუსთაველის თეატრის დირექტორი გია თევზაძე, გენერლები ჯემალ ჭუმბურიძე და თამაზ დუმბაძე, თეატრალური ინსტიტუტის რექტორი გიზო ჟორდანია.

როგორც თათბირზე აღინიშნა, აუცილებელია თეატრის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და განახლება, სახელმწიფოს მეთაურის მითითებით, ქალაქის მერიას დაევალა მოამზადოს სამართლებრივი განკარგულება შექმნილი ვითარების შესახებ.

კულტურის სამინისტროში იქმნება რუსთაველის თეატრის შენობის გადარჩენის ფონდი გიორგი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში თეატრის ხელმძღვანელობას დახმარება აღუთქვეს საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მიიღეს სათანადო გადაწყვეტილებანი.

ზეიმობენ ეროვნულ დღესასწაულს

20 მარტს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულმა დრამატულმა თეატრმა უმასპინძლა „ნავროზის" — ქურთული ეროვნული დღესასწაულის მონაწილეებს.

თბილისში არსებული ქურთული კულტურის ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით „ნავროზობა" — გაზაფხულისა და თავისუფლების დღესასწაული უკვე მესამედ გაიმართა. ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ და ეს დღე მიულოცეს საქართველოს ქურთული კულტურის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ზაზა კალაშოვმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, პროფესორმა ნოდარ ნათაძემ, საზოგადოება „არჩევნების" გამგეობის წევრმა თამაზ სულაძემ, მშრომელთა კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ვანო წიკლაურმა, ქურთმა მწერალმა თოგარე ბრონ.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომლის პროგრამაში იყო ქურთული ხალხური ცეკვები და მელოდიები, საესტრადო სიმღერები.

„ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ ბედნიერი და დემოკრატიული ქვეყნის აშენებას, თუ საქართველო აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა ნამდვილი სამშობლო გახდება"

ედუარდ შევარდნაძის 20 მარტის რადიოინტერვიუ

— გასული კვირის ეკონომიკური შედეგების ანალიზისას, ალბათ, გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ დაახლოებით ორ კვირაში ქვეყანაში დაიწყება ვაუჩერიზაციის პროცესი. ამასთანავე საინტერესო იქნება თქვენი შთაბეჭდილებები ამ ცოტა ხნის წინათ თქვენთან გამართულ ბანკირების შეხვედრასთან დაკავშირებით. დაახლოებით ერთი წლის წინათ თქვენი ბრძანების თანახმად, მოხდა ოთხი სახელმწიფო ბანკის განსახელმწიფოებრიობა. ახლა ეს ბანკები — „ახალი ქართული ბანკი", „ექსიმბანკი", „აგრობანკი" და „ბინსოცბანკი" აბსოლუტურად განსხვავებულ ატმოსფეროში საქმიანობენ, აფინანსებენ მნიშვნელოვან პროექტებს, ეძებენ პარტნიორებს და ფიქრობენ სერიოზულ ბიზნესზე...— ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— შევეცდები შემოგთავაზოთ ერთი კვირის განმავლობაში მომხდარ ძირითად მოვლენათა მოკლე მიმოხილვა. გასული კვირა საკმაოდ დატვირთული იყო. კიდევ უფრო გამოიკვეთა ის პოზიტიური ფონი და ერთგვარი სასიკეთო სიმპტომები, რომლებმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დიდი გულისყურით გააანალიზეს კოპენჰაგენის სამიტის შედეგები (ჩვენ კიდევ და კიდევ უნდა დავუბრუნდეთ იქ მიღებულ დოკუმენტებს). ამ სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების პოზიცია — ყოველგვარი გარდაქმნები, ყოველგვარი რეფორმა მიმდინარეობს თითოეული ადამიანის, პლანეტის ყოველი მოქალაქის, ხალხებისა და ქვეყნების სასიკეთოდ. ამასთან აუცილებელია სათანადო პოლიტიკური კლიმატის დამკვიდრება, აგრესიული სეპარატიზმის ალაგმვა (ეს უკვე აღიარებულ პრობლემად იქცა), მშვიდობიანი გზით სადავო საკითხების გადაწყვეტა. თუ ამას დაემატება გონივრულად წარმართული რეფორმები, თანდათანობით აღმოიფხვრება ის პრობლემებიც, რომლებიც დღეს ახვლევებს მსოფლიოს, — მასობრივი შიმშილობა, სილატაკე, ომები, სოციალური კატაკლიზმები.

სერიოზული სოციალური პრობლემები დგას დღეს საქართველოს წინაშე, მათი გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური რეფორმების წარმატებას, მათ ტემპსა და მასშტაბს, სწორად წარმართვას. გასულ კვირას მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, რომლის ამოცანა სწორედ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური გარდაქმნების, ანუ ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის გაანალიზება იყო. სასიამოვნოა, რომ მისიამ პრინციპულად მოიწონა ბოლო დროს საქართველოს სინამდვილეში, მის ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიური ძვრები, განსაკუთრებით კუპონის განმტკიცებისა და ბიუჯეტის ფორმირების მიზნით გაწეული მუშაობა, პრივატიზების ტემპის დაჩქარება და სხვა. თუმცა არის სერიოზული შენიშვნებიც, რომლებსაც მოგახსენებთ.

რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მომდევნო ეტაპებზე მეტი ყურადღება დაეთმობა სოციალურ პრობლემებს. კერძოდ, საქართველოს ეკისრება პასუხისმგებლობა და მოვალეობა ხელი შეუწყოს მოქალაქის მესაკუთრედ გადაქცევის პროცესის დაჩქარებას (რათა თითოეულმა მოქალაქემ იპოვოს ადგილი ეკონომიკურ აღმშენებლობაში) და ყველა მოქალაქეს შეუქმნას ისეთი პირობები, როცა ისინი თავიანთი შრომით შეძლებენ ადამიანურად ცხოვრებას. ამ გზაზე მალე გადაიდგმება რეალური ნაბიჯი, მხედველობაში მაქვს სწორედ მესაკუთრეობის პრობლემა.

გამოვიდა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება მასობრივი ვაუჩერიზაციის შესახებ. დაიბეჭდა ვაუჩერები და მალე თითოეული მოქალაქე, საქართველოს ყველა მცხოვრები მიიღებს თავის წილს სახელმწიფო ქონებიდან. რა თქმა უნდა, არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი ვაუჩერიზაციის ჩვენეული მოდელის თაობაზე, მაგრამ პირადად ჩემი აზრით, სწორედ ასეთი გზით განხორციელებული ვაუჩერიზაცია შეუწყობს ხელს მოქალაქეთა მესაკუთრეებად ჩამოყალიბებას (საკუთრება კი წარმოებისათვის უზარმაზარი სტიმულია), აგრეთვე საფონდო ბაზრის ფორმირებას, პოზიტიურ იმპულსებს მიანიჭებს რეფორმას, ეკონომიკური აღორძინების პროცესს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქალაქეებმა ძალიან ცოტა რამ იციან ამ პროცესისა და თვით ვაუჩერების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მინდა დავუსახო ამოცანა მინისტრთა კაბინეტს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, ვთხოვო ტელერადიოკორპორაციას, რომ ყოველდღიურად განმარტოს, მოაწყოს გადაცემები იმის შესახებ, თუ რა არის ვაუჩერი, რას აძლევს იგი რეალურად მოქალაქეებს, როგორ მიიღონ მათ მონაწილეობა ამ პროცესში.

ცივილიზებულ ეკონომიკას ცივილიზებული საბანკო სისტემა სჭირდება. საბანკო რეფორმის მიმართულებით რეალურად უკვე ბევრი რამ გაკეთდა, თავის დროზე ამას დიდი დავა და კამათი მოჰყვა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი კურსი სწორია, დამთავრდა სახელმწიფო კომერციული ბანკების აქციონირება, გამოიკვეთა ახალგაზრდა, განათლებულ, პროფესიონალ ბანკირთა ძალიან საინტერესო ჯგუფი. მათ მართლაც რეალური ცვლილებები განახორციელეს ამ სფეროში. და, აი, გაჩნდა ახალი ტენდენციაც. ეს არის ბანკებისა და ბანკირების მისწრაფება გაერთიანებისა და გამსხვილებისაკენ. კერძოდ, ეს ეხება „ექსიმ-

(დასასრული მე-2 გვ.).

აჭარა მიესალმება სახელმწიფოს მეთაურს

კვირას, სპეციალური თვითმფრინავით ბათუმს ეწვია საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. მასთან ერთად აქ ჩამოვიდნენ თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, საქართველოს საინფორმაციო საშუალებათა ხელმძღვანელები, ჟურნალისტები.

სტუმრებს ბათუმის აეროპორტში დახვდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ფაღავა, სხვა ხელმძღვანელები, საქართველოს პარლამენტის წევრი გოგა ლორთქიფანიძე, ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

აჭარის ხელმძღვანელებმა ბატონი ედუარდ შევარდნაძე სარფის საბაჟოს ახალმშენებლობათა დასათვალიერებლად მიიწვიეს.

უკანასკნელ ხანს სარფის საკონტროლო გამსვლელ პუნქტზე, მართლაც ბევრი სიახლე ინერგება. უკვე მთავრდება საქართველოდან თურქეთის მიმართულებით გამავალი სატვირთო თუ სამგზავრო, აგრეთვე მსუბუქი მანქანების საკონტროლო კომპლექსი, რომელიც როგორც ბატონმა ასლან აბაშიძემ აღნიშნა, მებაჟეებსა და მესაზღვრეებს საშუალებას მისცემს თანამედროვე საერთაშორისო ნორმებით დადგენილი წესების მიხედვით გააკონტროლონ ჩვენგან გამავალი თუ შემოსული მანქანები. მალე, აღნიშნა მან, სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტი სადღეისო მოთხოვნებს უპასუხებს.

ამ დღეებში სარფის საბაჟოს ტერიტორიაზე მწყობრში ჩადგება ბათუმის ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი პირველი მცირე ერთეული — ერთობლივი თავისუფალი ვაჭრობის მაღაზია „დიუტი-ფრი", რომელშიც მეზობელ თურქეთში არსებულ მსგავს მაღაზიებთან შედარებით გაცილებით იაფად გაიყიდება სხვადასხვა ფირმების მიერ შემოტანილი, დაუბეგრავი საქონელი.

ბატონმა ასლან აბაშიძემ სახელმწიფოს მეთაურს გააცნო აღნიშნული ობიექტის ფინანსური, ეკონომიკური შესაძლებლობანი. აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის მაღაზიები გაიხსნება აგრეთვე საზღვაო ნავსადგურსა და აეროპორტში, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს ჩვენს მოქალაქეებს საზრუნავს და დაუზოგავს სახსრებს. ითქვა ისიც, რომ იაფი საქონლით ძალზე დაინტერესებულია მეზობელი თურქეთის მხარეც. ასეთი პრინციპით ვაჭრობა ბათუმის ეკონომიკური ზონის ობიექტებზე დიდ მოგებას მოგვცემს და მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტს.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძე ეწვივნენ ბათუმის ზღვისპირა ზოლს, სადაც უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე დაინგრა ბათუმის ე. წ. „გეტოს" ულიმღამო ქოხმახები, ძველი ქარხნების კორპუსები, მოსწორდა 40 ჰექტრამდე ფართობი, რომელზეც უახლოეს პერიოდში დაიწყება ზღვისპირა პარკისა და მისი ინფრასტრუქტურისათვის აუცილებელი ნაგებობების მშენებლობა.

დღეს მართლაც იშვიათია ქალაქი, რომელსაც ასეთი გაჭირვების ჟამს შეეძლოს ასეთი გრანდიოზული სამუშაოების წამოწყება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ უკვე გამოცხადებულია კონკურსი ბათუმის ზღვისპირა ზოლის ამ უბნის განაშენიანებისათვის და გამოთქვა იმედი, რომ ჩვენი არქიტექტორები კიდევ ერთ შესანიშნავ კუთხეს შემატებენ ბათუმს, რომელიც მთელი თავისი პეწითა და ლაზათით შემობრუნდება ზღვისაკენ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა დაათვალიერა ბათუმის ჩოგბურთის კორტებისა და მომავალი თანამედროვე ბანკის მშენებლობები, ესაუბრა მშენებლებს, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

საღამოს კი სახელმწიფოს მეთაური ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის უკვდავი ოპერის „აიდას" წარმოდგენაზე მიიპატიჟეს.

წარმოდგენის შემდეგ ბატონი ედუარდი ბატონ ასლან აბაშიძესთან ერთად კულისებში, სცენაზე ეწვია მსახიობებს, სპექტაკლის შემქმნელებს და გულითადად მიულოცა მორიგი გამარჯვება. — ეს სპექტაკლები უნდა ნახოს თბილისელმა მაყურებელმაც, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, ხოლო თბილისის მერმა ნიკოლოზ ლეკიშვილმა თეატრის კოლექტივი თბილისში მოიწვია საგასტროლოდ.

— მიმაჩნია, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, რომ ასლან აბაშიძე დღეს ყველაზე დიდი ქომაგია ხელოვნებისა. მე ვნახე წინა სპექტაკლებიც. ერთი რამ შემიძლია გულწრფელად გითხრათ: ჩემთვის ეს არის ერთ-ერთი უბედნიერესი დღე, რადგან სწორედ აქ, ბათუმში, აჭარაში ვიხილე ასეთი ხელოვნება. ეს ყველაფერი თქვენი წყალობითაა, მადლობა თქვენ ამ სიხარულისა და ბედნიერებისათვის.

შემდეგ აჭარის უზენაეს საბჭოში გაიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საუბარი, რომლის დროსაც მათ განიხილეს აჭარაში და საერთოდ საქართველოში მიმდინარე პროცესები. აქ ითქვა, რომ აჭარა ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების ერთ-ერთი მძლავრი ბურჯი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საერთო წინსვლასა და აღმავლობას.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და ასლან აბაშიძემ გამართეს პრესკონფერენცია ადგილობრივი და ჩამოსული ჟურნალისტებისათვის, უპასუხეს მათ შეკითხვებს. დასასრულ ასლან აბაშიძემ აღნიშნა, რომ თუ არა სახელმწიფოს მეთაურის გულისხმიერება, სითბო აჭარისადმი, არ იქნებოდა ის აღმშენებლობა და წარმატებები, რომელიც აქ სუფევს და რომ დღევანდელი სტუმრობაც დიდი სტიმულია მთელი აჭარისათვის.

იმავე საღამოს ბატონი ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები ოფიციალური პირები თბილისს დაბრუნდნენ.

გია ჟელიძე,
„სრ" აჭარის ბიურო.

●

სურათებზე: ერთობლივ საწარმო-მაღაზია „დიუტი-ფრში", ათვალიერებენ ბათუმის ზღვისპირა მშენებარე ზოლს, ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში „აიდას" წარმოდგენაზე.

ვ. ვალიშვილისა და რ. ბაროიანის ფოტო.

თითოეული ჩვენგანის ვალია ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი საერთო სახლი გახდეს აყვავებული და ლამაზი

საქართველოს მოქალაქეთა ფორუმის დეკლარაცია

ჩვენ ვდგავართ ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისებთან, სწორედ დღეს ეყრება საფუძველი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ოჯახების, თითოეული ჩვენგანის ხვალინდელ დღეს, საქართველოს სხვადასხვა ეროვნების სათვისტომოთა წარმომადგენლები, ჩვენი მამულის თითოეულ მოქალაქესთან ერთად, ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავლის წინაშე. წლევანდელი წელიწადი უნდა გახდეს გარდამტეხი, ბოლო უნდა მოეღოს განუკითხაობასა და ქაოსს, ბიძგი მიეცეს ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ჩვენი საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროს აღორძინებას.

უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად მიგვაჩნია საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც შეავსებს არსებულ სამართლებრივ ვაკუუმს, ზუსტად განსაზღვრავს ხელისუფლების თითოეული შტოს ფუნქციონირების სფეროებს, ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას, დარწმუნებული ვართ, რომ კონსტიტუციაში, განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს საპრეზიდენტო ინსტიტუტმა, სწორედ ძლიერ, ხალხის მიერ არჩეულ, ფართო უფლებამოსილების მქონე პრეზიდენტში ვხედავთ სტაბილურობის, მშვიდობის, თითოეული მოქალაქის უფლებათა დაცვის გარანტს.

1995 წელი უნდა გახდეს ახალი საპარლამენტო არჩევნების წელიწადი, რომელიც დააკანონებს ხელისუფლების ლეგიტიმურ მონაცვლეობას, არჩევნების მთავარი პოლიტიკური ამოცანაა უზრუნველყოს მოსახლეობის ყველა ფენის სრულყოფილი და ადეკვატური წარმომადგენლობა, მათ შორის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, შექმნას რეალური წანამძღვრები ეროვნულ უმცირესობათა ღირსეული წარმომადგენლობისათვის, არ დავუშვათ ახლო წარსულის შეცდომები.

დღის წესრიგში უნდა დადგეს „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების" კანონის მიღების საკითხი, რომელიც საკანონმდებლო საფუძველს შეუქმნის სხვადასხვა სათვისტომოების კულტურის, განათლების, რელიგიურ ინიციატივათა თავისუფალ განვითარებას, სწორედ ამ კანონმა უნდა შეუწყოს ხელი ყველა ეროვნების ადამიანთა სრულყოფილ ინტეგრაციას სახელმწიფოებრივ პროცესებში, გაუცხოებისა და გაჩლეჩილობის დაძლევას ჩვენს საზოგადოებაში.

ჩვენი ქვეყნის ყველა პატრიოტთან ერთად მწვავედ განვიცდით იმ პრობლემებს, რომლებიც დღევანდელი საქართველოს წინაშე დგას. ჩვენი მთავარი ტკივილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ათასობით ლტოლვილია. მათ შორის არიან, არა მარტო ქართველები, არამედ სომხები, ბერძნები, რუსები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. ისინი ჩვენი საუკუნის შავი ჭირის სისხლიანი სეპარატიზმის მსხვერპლნი გახდნენ. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ეს ხალხი უახლოეს მომავალში დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, რომ ჩვენი სამშობლოს საზღვრები სამუდამოდ ურღვევი გახდეს.

ჩვენ ყველა — საქართველოს ხალხი, შვილები ვართ ერთი ქვეყნისა, რომელიც ტრადიციულად აძლევდა თავშესაფარს ყველა დევნილსა და მიუსაფარს, დღეს ის თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთ უმძიმეს ეტაპს გადის. თითოეული ჩვენგანის ვალია, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი საერთო სახლი გახდეს აყვავებული და ლამაზი.

ჩვენი ძალა ერთობაშია.

მერვე სვეტი

დიდი მატჩის წინ

20 მარტს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ გამართა თათბირი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს და გერმანიის ეროვნული ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩის გამართვის ორგანიზაციის შესახებ.

პრემიერ-მინისტრმა მოისმინა ინფორმაცია გაწეული სამუშაოების შესახებ სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებისაგან. თათბირზე აღინიშნა, რომ არავითარი შეფერხებები არ არის მატჩის ორგანიზაციასთან დაკავშირებით და ყოველგვარი ინციდენტი აღკვეთილია. მატჩისათვის მოსამზადებელი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, ძირითადი საკითხები, რომლებიც თათბირზე გამოიკვეთა, ენერგიის მოწოდებასთან და წესრიგის უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული.

თათბირს ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ირაკლი მენაღარიშვილი და სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელები.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

გარდაიცვალა იმამ ხომეინის ვაჟი

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში გვაცნობა, რომ გულის შეტევის შედეგად, გარდაიცვალა ირანის ისლამური რესპუბლიკის დამაარსებლისა და განსვენებული წინამძღოლის იმამ ხომეინის ვაჟიშვილი ჰოჯათოლესლამ ჰაჯ სეიდ აჰმად ხომეინი.

ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობამ ამ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით ორი დღე 18 და 19 მარტი მთელ ქვეყანაში საყოველთაო გლოვის დღეებად გამოაცხადა. თანახმად ამისა, თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომაც, გამოხატა რა თავისი მწუხარება, გლოვის დღედ გამოაცხადა ორი დღე.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ მადლობა მოახსენა ირანის ისლამური რესპუბლიკის ყველა მეგობარს, რომელნიც მრავალგზის დაუკავშირდნენ საელჩოს და თავიანთი მწუხარება და თანაგრძნობა გამოხატეს.

საქინფორმი.

უკანონო ქმედობა

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, აღძრული „საქბინსოცბანკის" დიდუბის განყოფილების თანამშრომლების მიერ სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტზე.

გამოძიების პროცესში დასახელებული დეპარტამენტისა და ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის თანამშრომლების ერთობლივად განხორციელებული ქმედითი ღონისძიების შედეგად „არაგვიბიზნეს" ბანკს, ფირმა „რანდას" და ფირმა „ამკის" ჩამოერთვა უკანონოდ გადარიცხული 5.897.500.000 კუპონი, რომელიც აღნიშნულმა ფირმებმა მიიღეს „საქბინსოცბანკის" დიდუბის განყოფილებიდან.

აღნიშნული თანხა ჩაბარდა სახელმწიფო ბიუჯეტს.

საქმის გამოძიება გრძელდება.

ჟინვალჰესსაც უჭირს

ჟინვალის წყალსაცავში წყლის დონემ ზღვის დონიდან მინიმალურ ნიშნულს — 770 მეტრს მიაღწია. ამის გამო, ჟინვალჰესის სიმძლავრე 20 მეგავატს არ აღემატება. შექმნილ პირობებში, სადგური ასრულებს მხოლოდ რესპუბლიკის დედაქალაქის სასმელი წყლით მომარაგების ამოცანას.

„ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ ბედნიერი და დემოკრატიული ქვეყნის აშენებას, თუ საქართველო აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა ნამდვილი სამშობლო გახდება"

(დასასრული)

ბანკს", რომლის ხელმძღვანელი ძალიან საინტერესო მუშაობას შეუდგა, „ახალ ქართულ ბანკს" — ყოფილ შემნახველ ბანკს, „ინდუსტრიაბანკს". მათი ხელმძღვანელები, პრეზიდენტები — ბატონები ხორიძე, ჩხარტიშვილი, ჩალაკელიძე და სხვები დიდი ენთუზიაზმითა და საქმის ცოდნით შეუდგნენ საქმიანობას და ეძებენ გზებს, რათა დაიკავონ ის ადგილი, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. ეს მისწრაფება გაერთიანებისა და გამსხვილებისაკენ უაღრესად ნიშანდობლივი მოვლენაა. ჩემი აზრით, ეს არის ჩვენი რეფორმის ახალი ეტაპი. დიდი და სერიოზული ინვესტიციების შემოსვლა მსხვილი, თანამედროვე ტიპის ისეთი ბანკების გარეშე, რომლებიც უცხოელ პარტნიორებს ღირსეულ კომპანიონობას გაუწევენ, შეუძლებელია. რა თქმა უნდა, იარსებებს პატარა ბანკებიც, რომლებსაც თავისი როლი და ადგილი ექნებათ საბანკო სტრუქტურაში. მაგრამ პატარა ბანკების არსებობას გადარჩენის გარანტად სწორედ მსხვილი ბანკები სჭირდებათ, რომლებსაც ერთგვარი პარტნიორობის გაწევაც შეუძლიათ მათთვის.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება კვლავაც დაძაბულად მიმდინარეობს. განსაკუთრებით დიდი სირთულეებია შექმნილი შემოსავლის დავალებათა შესრულებაში, რაც თავის მხრივ აფერხებს ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების დაფინანსებას. ფაქტობრივად, 1995 წლის 16 მარტისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალმა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშზე სულ 26 ტრილიონი კუპონი შეადგინა, საიდანაც გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 9 ტრილიონი კუპონია, ხოლო კრედიტების სახით, სახელმწიფოს მეთაურის შესაბამისი ბრძანებულებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, ბიუჯეტმა მიიღო 12 ტრილიონი კუპონი რესპუბლიკისათვის გამოყოფილი სისტემური ტრანსფორმაციის კრედიტის ხარჯზე. აღნიშნულ შემოსავალთა გამოკლებით რესპუბლიკურ ბიუჯეტში საგადასახადო და (გთხოვთ ამას მიაქციოთ ყურადღება) არასაგადასახადო შემოსავლის სახით სულ მიღებულია 5 ტრილიონი კუპონი, ანუ გათვალისწინებული პროგნოზის 37 პროცენტი, რაც კვლავ მოწმობს სახელმწიფო შემოსავლის მობილიზაციის საქმეში არსებულ რთულ სიტუაციასა და ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურის უსუსურობას. ამის შესახებ იყო ლაპარაკი მინისტრთა კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე. მაგრამ, ჯერჯერობით, ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა.

შექმნილი სიტუაცია კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ რესპუბლიკის საგადასახადო, საბაჟო, საბანკო ორგანოებმა, დავუმატებდი, სამართალდამცავმა ორგანოებმა, საჭიროა კიდევ უფრო გააძლიერონ ძალისხმევა ბიუჯეტის შემოსავალთა მობილიზაციის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული ვითარება იმით არის განპირობებული, რომ რესპუბლიკის საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ მუშაობს, მრავალი მათგანი სამუშაოებს ასრულებს მცირე დატვირთვით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტის შემოსავალს დიდი რაოდენობით აკლდება სახსრები გადამხდელთა მიერ დაგვიანებით ან ნაწილობრივი ჩარიცხვის, ანდა მომსახურე ბანკებში ამ სახსრების დაყოვნების გამო. ყველა ვიცე-პრემიერის, რომლებიც შესაბამის დარგებს ხელმძღვანელობენ, ყურადღებას მივაპყრობ ამას და მოვითხოვ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ იმ დარგებს, საიდანაც სახელმწიფომ ბიუჯეტთან დაკავშირებული სახსრები უნდა მიიღოს. ასევე გაცილებით ეფექტიანად შეიძლება ვიზრუნოთ მრეწველობის პოტენციალის გამოყენებისათვის. მოვუწოდებ მინისტრებს და მოვითხოვ, რომ ეს პოტენციალი რაც შეიძლება სწრაფად ამოქმედონ.

გასულ კვირას შიდასავალუტო ბაზარზე კვლავ დადებითი სიმპტომები შეინიშნებოდა. ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკი აწარმოებდა ინტერვენციებს, როგორც ვამბობთ, შეერთებული შტატების დოლარებით. ამ უკანასკნელის ბრუნვა 955 ათასი დოლარით განისაზღვრა. ბოლო ორ ვაჭრობაზე ვალუტის მყიდველებად ძირითადად ყოფილი სახელმწიფო კომერციული ბანკები მოგვევლინენ, რომლებიც უმთავრესად საბიუჯეტო ორგანიზაციებს უწევენ მომსახურებას. ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ კომერციული ბანკები სპეკულაციის მიზნით თითქმის აღარ მონაწილეობენ ბანკთაშორისო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაში. ესეც საინტერესო ტენდენციაა. სტაბილიზაციის შენარჩუნების მიზნით კურსი წინა დონეზე რჩება: 1 დოლარი — მილიონ 300 ათასი კუპონი. ამ კვირაში რუსულ რუბლზე გარიგების საერთო მოცულობამ 80 მილიონი რუბლი შეადგინა. ეროვნულ ბანკს ვაჭრობაში მონაწილეობა არ მიუღია. სამშაბათს აღინიშნა ასეთი კურსი: 1 რუსული რუბლი — 275 კუპონი, ხუთშაბათს — 276 კუპონი, ასე რომ, დადებითი ტენდენცია ძალაში რჩება.

კვლავ შეუწყნარებელი, სერიოზული ნაკლოვანებანია ელექტროენერგიის გამომუშავებაში, განაწილებასა და მომხმარების ანაზღაურებაში, დარგში ჯერ კიდევ არ იგრძნობა სერიოზული ძვრები, ბატონ კერვალიშვილის, ბატონ გამყრელიძისა და მთელი კოლექტივის ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ ასე მუშაობა აღარ შეიძლება. რეზერვები და რესურსები არსებობს, უცხოური კრედიტების საკითხი არსებითად გადაწყვეტილია. უნდა დაჩქარდეს აღდგენითი სამუშაოები, რათა სისტემაში წესრიგი დამყარდეს.

ორიოდე სიტყვა საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით: ქვეყნის შეზღუდული რესურსების მიუხედავად (ბევრი რამ, რასაც სოფლის მოსახლეობას შევპირდით, ვერ მივეცით), გამოსავალი მაინც უნდა მოიძებნოს. საქართველოში მიწის დაუმუშავებლად დატოვება დანაშაულია. განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაპყრო ადგილობრივ ინიციატივას. გუშინ ბათუმში ვნახე თავისუფალი სავაჭრო ზონის პირველი ელემენტები და ამან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ ადამიანები დიდი მონდომებითა და ინიციატივით მუშაობენ. სულ რაღაც ორიოდე თვის წინათ მიიღეს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის უფლება და უკვე მოქმედებენ. რეალური და კონკრეტული შედეგები აშკარაა.

სამწუხაროდ, ბევრი ისევ ცენტრის შემყურეა. ზოგიერთი გამგებელი და მინისტრი რაიონული და საქალაქო ბიუჯეტების შედგენაზეც კი არ ფიქრობენ. ასე შორს ვერ წავალთ. მინდა ჩვენი ახალი ინსტიტუტის — რწმუნებულების, ასევე გამგებლების განსაკუთრებული ყურადღება მივაპყრო იმას, რომ მათი უპირველესი მოვალეობა შემოსავლის ნაწილში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაა, ეს წარმოადგენს რაიონებისა და ქალაქების ინტერესს, ასევე მთელი სახელმწიფოს ინტერესს.

— გუშინ აჭარაში თქვენი მოულოდნელი გამგზავრება მხოლოდ თავისუფალი სავაჭრო ზონის მონახულებასთან იყო დაკავშირებული?



ედუარდ შევარდნაძის 20 მარტის რადიოინტერვიუ

— ეს, ალბათ, მთლად მოულოდნელი არ ყოფილა, საერთოდ, საკუთარ ქვეყანაში მოგზაურობა რომელ რეგიონებშიც უნდა იყოს ჩასვლა, მოულოდნელი არ უნდა იყოს. აჭარის შთაბეჭდილებებზე მე წუხელ ვესაუბრე ტელერადიო ჟურნალისტებს, ამ საუბარს ზოგიერთი გაზეთის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საუბარი გვიან ღამით გაიმართა ბათუმში. ალბათ, ისინი გამოიყენებენ ჩემსა და ასლან აბაშიძის გამოსვლებს.

მინდა ვთქვა, რომ აჭარაში, როგორც ადრეც აღმინიშნავს, მიზანდასახული, მიზანმიმართული აღმშენებლობა მიმდინარეობს. ეს ერთი ჩასვლის შედეგად გამოტანილი დასკვნა როდია. თავისუფალ სავაჭრო ზონაზე უკვე ვილაპარაკე და ძალიან მიხარია, რომ ეს საქმე დაიძრა, მას დიდი მომავალი აქვს. ბათუმის კეთილმოწყობისათვის დიდი მასშტაბის სამუშაოები ხორციელდება. ფართოვდება ბათუმის განთქმული პარკი, რომელსაც 50 ჰექტარამდე უნიკალური ტერიტორია შეემატა. ყველაფერი ეს სულ რაღაც რამდენიმე თვეში მოხდა. პრაქტიკულად ძალიან ძნელი წარმოსადგენია ჩვენს დროში ამ მასშტაბის სამუშაოს შესრულება. ყველაფერი ეს ხვალინდელ ბათუმზე, მე ვიტყოდი, ერთ-ერთ საერთაშორისო სანავსადგურო ქალაქსა და ტერიტორიულ ცენტრზე ზრუნვად მიმაჩნია. ასე მესახება ბათუმი, ისევე როგორც ზოგიერთი ჩვენი სხვა ქალაქი.

დიდად გამახარა ვერდის ოპერის „აიდას" ბრწყინვალე დადგმამ (ბატონი გიგა ლორთქიფანიძეა მისი დამდგმელი), შესანიშნავმა შემსრულებლებმა და საერთოდ შესრულების უმაღლესმა დონემ.

ხანდახან ლაპარაკობენ გაუგებრობის ელემენტებზე და ასე შემდეგ. გაუგებრობის ელემენტები არის, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი იმიტომ არსებობს, რომ გაუგებრობანი სერიოზულ ნეგატიურ მოვლენებად არ იქცეს, გასარკვევი დროზე გაირკვეს. ამ მხრივაც ეს შეხვედრები და საუბრები ძალიან სასარგებლოდ მიმაჩნია.

— უმძიმესი ვითარებაა შექმნილი გალის რაიონის ტერიტორიაზე. ლტოლვილები უკვე მერამდენედ მართავენ მიტინგებს, განსაკუთრებით ზუგდიდში. შექმნილ ვითარებაში, ძირითადად ბრალს სდებენ სამშვიდობო ძალების სარდალს იაკუშევს. ისინი აცხადებენ, რომ ამ პროცესში მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით როლს ასრულებენ როგორც რუსეთის სამშვიდობო ძალები, ისე იქ განლაგებული გაეროს ძალები, რომლებსაც სწორედ მშვიდობის დაცვა ევალებათ. გაუგებარი ვითარებაა იმ მხრივ, რომ რუსეთის ბოლოდროინდელ ვალდებულებებს, რასაც ისინი ხმამაღლა აცხადებენ, ეს არანაირად არ შეესაბამება...

— მოსახლეობის უკმაყოფილება და პროტესტი სამართლიანია. რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ აღებულ კურსსა (მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება) და სამშვიდობო ძალების სარდლობის პრაქტიკულ საქმიანობას შორის სერიოზული წინააღმდეგობაა. გალში მომხდარი მოვლენები — ადამიანების დახვრეტა (ამის შესახებ გუშინ გავაკეთე განცხადება, რომელიც გადაეცა მსოფლიოს ბევრ საინფორმაციო ცენტრს და იგი უკვე გამოიყენეს), მოსახლეობის დარბევა შევაფასე როგორც გენოციდის და ეთნოწმენდის გაგრძელება. ვთქვი ისიც, რომ ადამიანთა მოთმინება უსაზღვრო არ არის და უსაზღვრო არ არის საერთაშორისო ორგანიზაციის, თანამეგობრობის ქვეყნებისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მოთმინება. რაც გალში მოხდა, პირდაპირი პროვოკაცია, რომელიც გამიზნულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ბზარის გასაჩენად. სეპარატისტებს ამის იმედი აქვთ. ორთავე ქვეყნის ხელმძღვანელობას მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დროულად მოვაგვაროთ კონფლიქტები საქართველოში, რადგანაც ეს სწორედ ორთავე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება. ვფიქრობ, ჩვენს მიზანს მივაღწევთ.

— გასულ კვირას საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის პირველი სერიოზული ფორუმი გამართა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ჩვენი უახლესი ისტორიის გარკვეულ პერიოდში დაინგრა ის ბალანსი, დაიკარგა ის გზა, ის ხაზი, რასაც ქართველი ადამიანი ყოველთვის ატარებდა სხვა ერებთან ურთიერთობაში — შემწყნარებლური, ტოლერანტული, მეგობრული დამოკიდებულება. რასაკვირველია, ეს არ იყო ცალმხრივი მოვლენა. ხშირად იყო პროვოკაციები მეორე მხრიდანაც. მაგრამ, თქვენი განცხადებით, რადგან ჩვენ რაოდენობრივად უფრო დიდი ერი ვართ, რადგან სახელმწიფო ვართ, ალბათ, ძირითადი წილი პასუხისმგებლობისა ჩვენ უნდა ვიკისროთ...

— მიმაჩნია, რომ ეს ფორუმი საქართველოში ერთაშორის, ხალხთაშორის, სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთაშორის ახალი ურთიერთობის მშენებლობის დაწყებას ნიშნავს. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ ბედნიერი და დემოკრატიული ქვეყნის აშენებას, თუ საქართველო აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა ნამდვილი სამშობლო გახდება. სწორედ ეს აზრი გასდევდა წითელ ზოლად ყველა გამოსვლას. ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა, ადამიანთა უფლებების დაცვა, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა, ერთიანობასა და მთლიანობაზე ზრუნვა, — აი, ის ძირითადი მოტივი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ გამომსვლელები და საერთოდ ფორუმის ყველა მონაწილე. ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენ გვაძლევს სერიოზულ საფუძველს იმისათვის, რომ უახლოეს დროში გადავლახოთ ის ნაკლოვანებები და მანკიერებანი, რაც დამახასიათებელი იყო ბოლო წლებისათვის.

— დღეს თბილისში უნდა ჩამოვიდეს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. მისი ვიზიტი დაკავშირებულია კონკრეტული საკითხების გადაწყვეტასთან?

— ჯერ ერთი, მინდა მივესალმო საქართველოში ბატონ გრაჩოვის ჩამოსვლას — რუსეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტის შესახებ ჯერ კიდევ ალმათში ჩემი და ბატონ ელცინის შეხვედრისას შევთანხმდით. განსახილველი საკითხების სფერო მრავალფეროვანია. მათ შორის არის ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის პრინციპები, გამოცდილების გაზიარება, სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ პერსპექტიული საუბარი. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იქნება კონფლიქტების მოწესრიგება. ბატონი გრაჩოვი სრულად იზიარებს რუსეთის პრეზიდენტის პოზიციას ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტების სწრაფად მოგვარების შესახებ და რუსეთის როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ. ვფიქრობ, ეს შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენი ხალხიც სწორედ იმას მოელის, რომ შედეგები მნიშვნელოვანი იქნება და იმედები არ გაუცრუვდება.

— ამ ბოლო დროს საკმაოდ დაძაბული ვითარებაა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის, ყაზახეთში, სადაც პრეზიდენტმა ნაზარბაევმა დაითხოვა პარლამენტი. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე დეპუტატმა შიმშილობა გამოაცხადა. ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო პირდაპირ მოუწოდებს პარლამენტს: თუ გსურთ მოსახლეობის რაღაც სიმპათიები მაინც შეინარჩუნოთ, თავადვე მიიღეთ გადაწყვეტილება და გააკეთეთ განცხადება პარლამენტის დათხოვნის თაობაზეო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პარლამენტარიზმი, როგორც ფორმა, ჯერჯერობით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ვერ ამართლებს...

— ჩემი აზრით პრეზიდენტ ნაზარბაევს რაიმე განსაკუთრებული პრობლემები ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არ შექმნია (არ ვიცი, როგორ იქნება ბელარუსში). ჩემი ინფორმაციით, მოსახლეობამ სავსებით ნორმალურად მიიღო პრეზიდენტ ნაზარბაევის ეს გადაწყვეტილება. რაკი ეს ასეა, სიმართლე გითხრათ, კომენტარებიც ზედმეტად მიმაჩნია. ალბათ, საჭიროა ახალი არჩევნები და იგი უფრო სამართლიან შედეგებამდე მიიყვანს.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ

1994 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაითხოვა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო.

აღნიშნული ნულოვანი ვარიანტი ქმნიდა იმის პირობებსაც, რომ აფხაზეთში ეთნოწმენდის შედეგად გამოძევებული ასიათასობით დევნილის დაბრუნების შემდეგ განისაზღვრებოდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი, მსოფლიოს მიერ ცნობილი, გაეროს რეზოლუციებით არაერთხელ დადასტურებული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში და მომზადდებოდა საფუძველი აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ლეგიტიმურობას მოკლებულმა, ეროვნული უპირატესობის ნიშნით, წინასწარი საპარლამენტო უმრავლესობის გარანტიით, მოსახლეობის უმცირესი ნაწილის მიერ 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულმა გუდაუთის სეპარატისტულმა დაჯგუფებამ კვლავ უკანონოდ გააგრძელა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით მოქმედება, უფრო მეტიც, მიიღო ე. წ. კონსტიტუცია, აირჩია პრეზიდენტი, გამოაცხადა აფხაზეთის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატებმა, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს, ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე შეაჩერეს საქმიანობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფების ანტიკონსტიტუციური საქმიანობისადმი პროტესტის ნიშნად. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, მათ 1995 წლის იანვარში განაახლეს მუშაობა და სთხოვეს საქართველოს პარლამენტს კომპეტენციის დადასტურება.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ აფხაზეთში არსებული ხელისუფლების ვაკუუმი სეპარატისტთა დაჯგუფებას საშუალებას აძლევს გაიხანგრძლივოს დანაშაულებრივი უზურპატორული საქმიანობა, არ დაუშვას დევნილთა დაბრუნება, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივი აღდგენა აფხაზეთის რეგიონში.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ — უმაღლეს საბჭოდ — ცნობილი იქნეს 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ის დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში (სია თან ერთვის).

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის და იმ საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას; შექმნას აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, რაც უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სტრუქტურის ნორმალურ ფუნქციონირებას და აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად სათანადო ნორმატიული ბაზის შექმნას.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მიენიჭოს უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებაში.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული დელეგაციის თანხმობის გარეშე ბათილად ჩაითვალოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება, შეთანხმება და განცხადება.

4. გაეროს წევრ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ეთხოვოთ თავი შეიკავონ ყოველგვარ ურთიერთობისაგან ეთნიკურ წმენდაში — გენოციდში და დამნაშავე აგრესიულ-სეპარატისტულ რეჟიმთან (გუდაუთის დაჯგუფებასთან), გარდა სამშვიდობო პროცესის მონაწილე ოფიციალური პირებისა, შუამავლებისა და დამკვირვებლებისა, რომელთაც ყველა პირობა უნდა შეექმნათ სამშვიდობო მოღვაწეობისათვის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1991 წლის ოქტომბერში არჩეულ დეპუტატთა სია

1. **ახტემიროვა ეთერი გასანის ასული** — ქ. სოხუმის № 4 საარჩევნო ოლქი
2. **გვაძაბია დავით დავითის ძე** — გულრიფშის რაიონის ფშაფის № 50 საარჩევნო ოლქი
3. **გვაზავა ელგუჯა ანატოლის ძე** — ქ. სოხუმის № 2 საარჩევნო ოლქი
4. **გასვიანი აკაკი იპოლიტეს ძე** — ქ. გაგრის, კოლხიდის № 13 საარჩევნო ოლქი
5. **გამახარია ჯემალ ორესტის ძე** — გალის რაიონის, ნაბაკევის № 37 საარჩევნო ოლქი
6. **გოგოხია თემურ ნურის ძე** — ოჩამჩირის მეორე, № 61 საარჩევნო ოლქი
7. **დგებუაძე რენალდ ეგნატეს ძე** — გალის რაიონის, საბერიოს № 34 საარჩევნო ოლქი
8. **ზუხბაია ოთარ გიორგის ძე** — გალის მეორე, № 30 საარჩევნო ოლქი
9. **კალანდია თემურ ალექსანდრეს ძე** — სოხუმის რაიონის, № 64 საარჩევნო ოლქი
10. **კაჭარავა ვახტანგ მიხეილის ძე** — გულრიფშის რაონის, ბაბუშარის № 52 საარჩევნო ოლქი
11. **კვარაცხელია მურმან სარდიონის ძე** — ოჩამჩირის რაიონის, ილორის № 59 საარჩევნო ოლქი
12. **ლორთქიფანიძე თემურ ხერგის ძე** — ქ. სოხუმის № 1 საარჩევნო ოლქი
13. **მგალობლიშვილი ნუგზარ პეტრეს ძე** — გულრიფშის რაიონის, მაჭარის № 48 საარჩევნო ოლქი
14. **მეხბია ნაპოლეონ შალვას ძე** — გალის რაიონის, აჩიგვარის № 31 საარჩევნო ოლქი
15. **მჟავია თემურ ვალერიანის ძე** — სოხუმის რაიონის, № 65 საარჩევნო ოლქი
16. **ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე** — ქ. გაგრის, № 17 საარჩევნო ოლქი
17. **ნაგარნინა ოლღა ხიმონის ასული** — გულრიფშის რაიონის, დრანდის № 51 საარჩევნო ოლქი
18. **უბილავა რაისა ორესტის ასული** — ქ. გაგრის, ლესელიძის № 20 საარჩევნო ოლქი
19. **ქარაია რაისა კონსტანტინეს ასული** — გულრიფშის № 49 საარჩევნო ოლქი
20. **ხეცურიანი შოთა გიორგის ძე** — ოჩამჩირის რაიონის, კოჩარის № 56 საარჩევნო ოლქი
21 **ხუბუა თამაზ ტერენტის ძე** — ქ. გალის, № 29 საარჩევნო ოლქი
22. **ყოლბაია ვახტანგ გაბრიელის ძე** — გალის რაიონის, ჰუბურხინჯის № 35 საარჩევნო ოლქი
23. **ცატავა რუდიკ ძიკას ძე** — გალის რაიონის, სოფ. პირველი გალის № 33 საარჩევნო ოლქი
24. **ჭკუელიანი კიმი ვარლამის ძე** — გულრიფშის რაიონის, წებელდის № 47 საარჩევნო ოლქი
25. **ჯგუბურია ზურაბ გრიგოლის ძე** — გალის რაიონის, ოქუმის № 32 საარჩევნო ოლქი
26. **შამუგია როსტომ ვლადიმერის ძე** — გალის რაიონის, ზემობარღების № 36 საარჩევნო ოლქი

გვილოცავენ!

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

სახლითა უხენაესისათა.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო თბილისში ულოცავს საქართველოს რესპუბლიკის ყველა ოფიციალურ პირს, მის კულტურულ და გონიერ ხალხს უძველესი და კურთხეული დღესასწაულის – ნოვრუზის პირველი დღის 21 მარტის დადგომას, რომელიც ირანული მზის კალენდრით 1374 წლის I ფარვარდინს შეესაბამება.

سفارت جمهوری اسلامی ایران در تفلیس فرا رسیدن ۲۱ ماه مارس روز اول عید سعید و باستانی نوروز که مصادف با اول فروردین ماه سال ۱۳۷۴ (تقویم خورشیدی ایرانی) می باشد را به کلیه مقامات و مردم فرهنگ شناس و فهیم جمهوری گرجستان تبریک عرض می نماید .

ხიდე

ბატონი ოთარ ფაცაცია — ირანში

16 მარტს, ნაშუადღევს
ანის ისლამური რესპუბ
პრეზიდენტის ჰაშემი რაფ
ნის მიწვევით მოკლე სა
ვიზიტით თეირანს ჩაფ
საქართველოს რესპუბლი
პრემიერ-მინისტრი ოთარ
ცია.

მეჰრაბადის აეროპორტში
ართველოს პრემიერ-მინი
საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.
დახვდნენ ირანის პრეზიდე
პირველი მოადგილე ჰასან
ბი, მინისტრები, სხვა ოფიცი
რი პირნი.

იმავე დღეს პრეზიდენტის
ხლში დოქტორმა ჰაბიბმ
ლო ბატონი ოთარ ფაცაცია.
იმართა საქმიანი საუბარი
ქვეყნის ეკონომიკური თანა
ომლობის განვითარების, ო
რივი და რეგიონული ურთიე
ობის აქტუალურ პრობლემე

მოლაპარაკების დროს, რ
ლმაც ერთ საათზე მეტ ხანს
ტანა, მხარეები შეთანხმდნენ,
მათი ქვეყნების ინტერესებ
გამომდინარე ყოველმხრივ
შეუწყონ ხელი საქართველოს
ირანის პარტნიორულ თანამშ
მლობას ეკონომიკის ისეთ პრ
რიტეტულ დარგებში, როგო
ცაა ტრანსპორტი, უპირველ
ყოვლისა, ევროპა-კავკასია-აზი
დერეფანი, ამ კონტექსტში ფო
ისა და ბათუმის ნავსადგურებ
რეკონსტრუქციის, აღჭურვისა
დატვირთვის უზრუნველყოფა; ს
ქართველოს ჰიდრორესურსებზ
აქცენტირებული ენერგეტიკა, პე
რსპექტივაში მისი ექსპორტის
გათვალისწინებით აზიისა და
დსთ ქვეყნებში; ქიმიური მრეწ
ველობა რუსთავის სამრეწველო
ბაზის გამოყენებით; სოფლის მე
ურნეობის მეჩაიეობის დარგი
აგრეთვე — ტურიზმი და ზოგი
ერთი სხვა.

ირანი მზად არის საქართვე
ლო-ირანის პროექტების ინვეს
ტირებისათვის, მაგრამ აუცილე
ბელი იქნება ორივე მხარის ექ
სპერტების სამუშაო შეხვედრე
ბის, მათი თანამშრომლობის ორ
განიზების დაჩქარება.

ბატონი ჰაბიბი დაეთანხმა ბა
ტონი ოთარ ფაცაციას წინადადე
ბას თათბირი — საქართველო-
ირან-სომხეთი-აზერბაიჯანის
შეხვედრის უახლოეს მომავალში
თბილისში ჩატარების შესახებ
ტრანსიერთოვნული სატრანსპორ
დერეფნისა და სხვა მნიშვნელ
ვანი ეკონომიკური პრობლემებ
ის განხილვის მიზნით.

შეხვედრის დასასრულს დო
ქტორმა ჰაბიბმა განაცხადა, რო
მისი ქვეყნის პოლიტიკური ნე
მიმართულია საქართველოსთ
მტკიცე, მეგობრული პოლიტიკ
ური, ეკონომიკური და კულტუ
რული თანამშრომლობის განვით
არებისაკენ.

გაიმართა ორი ქვეყნის მთა
რობათა მეთაურების საუბარი დ
ხურულ კარს მიღმა.

ბატონი ოთარ ფაცაცია შეხვ
და ესაუბრა ირანის ისლამურ
რესპუბლიკის სოფლის მეურნე
ბის, ეკონომიკის, ტრანსპორტი
მინისტრებს.

17 მარტს საქართველოს რეს
პუბლიკის პრემიერ-მინისტრ
ქალაქ ბანდერ აბასში მონაწ
ეობდა ბაფყ—ბანდერ აბ
რკინიგზის მაგისტრალის გა
სადმი მიძღვნილ ზეიმში,
წვეულნი იყვნენ რიგი ქ
ის ლიდერები, მათ შორი
ხეთის, თურქმენეთის, ყ
თის, ავღანეთის პრეზიდ
სხვა მაღალი რანგის ხე
ნელები.

ბანდერ აბასში ირანის
ური რესპუბლიკის პრეზი
ჰაშემი რაფსანჯანიმ მიიღ
რთველოს რესპუბლიკის
ერ-მინისტრი ოთარ ფაცა

საუბარი შეეხო ორი ქვე
ურთიერთობის იმ საკითხ
რომლებიც წინა დღით განიხ
ეს მთავრობათა მეთაურებმა.

ირანის პრეზიდენტმა განაც
ადა, რომ იგი იცნობს ამ პრო
ლემებს, იზიარებს იმ პრინც
ულ პოზიციას, რომელზეც ბ
ონები ოთარ ფაცაცია და ჰ
ჰაბიბი შეთანხმდნენ და ყოვ
მხრივ ხელს შეუწყობს მის რეა
იზაციას. მას მიაჩნია, რომ ურ
იერთთანამშრომლობის საკითხ
ბი საბოლოოდ დაიხვეწება ორ
თვის შემდეგ საქართველოში მ
სი ვიზიტის დროს ბატონ ედუ
არდ შევარდნაძესთან საუბრების
შედეგად. მან სთხოვა ბატონ ოთ
არ ფაცაციას გულითადი მოკი
თხვა და საუკეთესო სურვილები
გადასცეს მის მეგობარს ბატო
ედუარდ შევარდნაძეს, მთელ ქა
რთველ ხალხს.

17 მარტს საქართველოს დელ
ეგაცია, რომელშიც პრემიერთან
ერთად იყვნენ, სოფლის მეურ
ნეობის მინისტრის პირველი
ადგილე ბონდო ჯიქია, დეპარტა
მენტ „საქგაზის" თავმჯდომარ
დავით ელიაშვილი და თბილის
სახელმწიფო საავიაციო გაერთ
ანების გენერალური დირექტო
ავთანდილ ხოფერია, თბილი
დაბრუნდა.

**საქართველოს მინისტრ
კაბინეტის პრესცენტრი.**

**„საქართველოს რესპუბლიკ
სპეციალური კორესპონდენტის
მაჲ სანებლიძის რეპორტაჟ
ირანიდან გაზეთის უახლოეს ნ
მრებში გამოქვეყნდება.**

ედუარდ შევარდნაძე

+

ესაუბრა ფრანგ სენატორებს

17 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საფრანგეთის სენატის დელეგაციის წევრებს ანრი გოგისა და პიერ შილეს.

სახელმწიფოს მეთაურმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ისაუბრა სახელმწიფოსათვის სადღეისოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, რომლის პროცესიც მძიმედ, მაგრამ მაინც მიმდინარეობს, ეკონომიკის გამოცოცხლებისა და ქვეყნის პოტენციალის გამოყენების აუცილებლობაზე, სახელმწიფო მოწყობის ფორმისა და სტრუქტურის შემუშავებაზე. აღნიშნა, რომ ეს წელი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დასრულების, არჩევნების გამართვისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიების წლიწადი იქნება. მან მნიშვნელოვანი უწოდა ფრანგი სენატორების ვიზიტს საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთა ურთიერთობის განვითარებას, მით უმეტეს, რომ „საქართველოს მეგობარი ქვეყნების" ჯგუფის შექმნის ინიციატივით და საფრანგეთის ქმედითი მონაწილეობით ამის საფუძველი უკვე ჩაყრილია.

ბატონმა ანრი გოგიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია საფრანგეთის მხრიდან, მისივე თქმით, მიუხედავად რესპუბლიკაში არსებული მძიმე სიტუაციისა, იგრძნობა სიმშვიდე, სტაბილიზაცია, სასიკეთო ძვრები. რაც შეეხება კონსტიტუციის დროულ მიღებას, მისი აზრით, ეს ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებას.

ბატონმა პიერ შილემ აღნიშნა, რომ საფრანგეთის სენატის დელეგაცია, საფრანგეთ-კავკასიის მეგობრობის ჯგუფს წარმოადგენს. მისი აზრით, ევროგაერთიანების მოდელი, რომელშიც ყველა წევრი საკუთარ ეროვნებას ინარჩუნებს, მაგრამ საერთო იდეალები აერთიანებს, ალბათ საქართველოსთვისაც მისაღები იქნება.

დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი და შიდაპოლიტიკური მოწყობის ფორმით. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, ამგვარი საკითხის გადაწყვეტის სირთულე ის არის, რომ გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ხელისუფლება ქმედუნარიანი უნდა იყოს, და ამავე დროს, შეესაბამებოდეს სახელმწიფოებრიობის თანამედროვე სტანდარტებს, ანუ ერთდროულად იყოს დემოკრატიისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი. სწორედ ამიტომ მას მიაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტისა და ძლიერი პარლამენტის ქვეყანა.

სტუმრებმა საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის სახელით, პარიზში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე მიიწვიეს სახელმწიფოს მეთაური და გადასცეს მას საფრანგეთის სენატის მედალი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარდ ფასიე, საქართველოს პარლამენტის საგარეო იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეები თ. გამყრელიძე, შ. ნათელაშვილი და თ. კოპალეიშვილი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

ბოლო მოეღოს სეპარატისტთა ბარბაროსობას!

+

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო ცენტრი გვატყობინებს:

●

15 მარტს ზუგდიდში ჩავიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სამუშაო ჯგუფი თავმჯდომარის მოადგილის აკაკი გასვიანის ხელმძღვანელობით გალის რაიონში აფხაზი ბოევიკების მიერ განხორციელებული ბანდიტური მოქმედების ფაქტებთან დაკავშირებით. ჯგუფის წევრები შეხვდნენ დევნილთა წარმომადგენლებს, სათანადო სამსახურების ხელმძღვანელებს. 16 მარტს ზუგდიდში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა აკაკი გასვიანი. მიტინგის მონაწილეებმა საქართველოს ხელისუფლების, რუსეთის სამშვიდობო ძალების, გაეროს მეთვალყურეებისაგან მოითხოვეს შეიქმნას გალის რაიონში დარჩენილი და სტიქიურად შესული მოსახლეობის დაცვის გარანტიების მექანიზმი, რომელშიც უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ქართული მხარის წარმომადგენლები და საქართველოს შინაგანი ჯარი. საუბარი შეეხო აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს და აფხაზეთის ხელისუფლების დონეზე მოითხოვენ გადაწყვეტას. უკვე ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებები. სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად, 16 მარტსვე შედგა ორმხრივი შეხვედრა გალში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილე პოლკოვნიკი შევაჩეკი, გაეროს წარმომადგენელი ქართული მხრიდან, გენერალ-მაიორი დულა აბაშიძე, აფხაზური მხრიდან — პოლკოვნიკი ნანბა. სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილემ გამოთქვა აღშფოთება აფხაზური მხარის მოქმედების გამო და განაცხადა, რომ აღნიშნულზე ისინი ადრე გააფრთხილეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო დასკვნა ვერ გაკეთდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გალის რაიონში 10-13 მარტს შემოყვანილი, ეგრეთ წოდებული, აფხაზური პოლიცია ამჟამად გაყვანილია და ვითარება შედარებით სტაბილურია. აფხაზური მხარის მიერ დაკავებული 193 გალელი განთავისუფლებულია, ამჟამად დაკავებული ჰყავთ მხოლოდ 13 პირი. პოლკოვნიკმა შევაჩეკმა დაადასტურა 9 უდანაშაულო ადამიანის დაღუპვის ფაქტი, და აღინიშნა, რომ დაზუსტება გრძელდება. გაეროს წარმომადგენელმა დაგმო და მკაცრი შეფასება მისცა აფხაზური მხარის მოქმედებას და განაცხადა, რომ აღნიშნულის თაობაზე წარუდგენს დეტალურ მოხსენებას გაეროს ხელმძღვანელობას. მთელ საქართველოში განსახლებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა მოითხოვს გალში აფხაზური მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების უმკაცრეს გამოძიებას საქართველოს ხელისუფლების მიერ, რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით და უმკაცრესი ღონისძიებების განხორციელებას, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მხრივ უფრო მკაცრი პოზიციის დაკავებას. გაიმართა ხალხმრავალი შეკრებები თბილისში, ქუთაისში, სამეგრელოს ქალაქებსა და სოფლებში.

აფხაზეთიდან დევნილმა დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა სპეციალურ შეკრებაზე გამოხატეს პროტესტი გალის რაიონის ამბებთან დაკავშირებით და ოფიციალური თხოვნა-მიმართვა გაუგზავნეს რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რუსეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების ომის ვეტერანთა საკოორდინაციო საბჭოს, რუსეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების ომის ვეტერანებს. 16 მარტს მოსკოვს ჩაფრინდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დელეგაცია ბატონების თამაზ ნადარეიშვილის, ზურაბ ერქვანიას, ვახტანგ ყოლბაიას, ანზორ ლაცუზბაიას, ამირან დოლიძის შემადგენლობით, რომლებიც აფხაზეთის პრობლემების მოწესრიგებისა და გალში ბოლო დროს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით შეხვდებიან რუსეთის ფედერაციის უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას.

განიხილეს კანონპროექტი კურორტების შესახებ

17 მარტს გაიმართა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის გაფართოებული სხდომა. სხდომას უძღვებოდა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი თემურ მგელიაშვილი.

განიხილეს კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის კურორტების შესახებ, რომელიც პირველი (მოსმენით წარმოდგენილი იყო 23 თებერვლის პარლამენტის სხდომაზე. კანონპროექტი დასამუშავებლად დაუბრუნდა ჯანმრთელობის დაცვის კომისიას. ფართო მსჯელობის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება სხვადასხვა საკითხებზე.

სხდომამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნულ საკითხზე უახლოეს პერიოდში გამართოს გაფართოებული სხდომა პარლამენტის შესაბამისი კომისიებისა და სამინისტროების მონაწილეობით.

პარლამენტის პრესცენტრი.

პრემიერა

„ბათუმი ინახავს და ამოქმედებს საქართველოს საოპერო პოტენციალს"

ბათუმი ყოველთვის იყო ჩვენთვის საოცნებო ქალაქი თავისი ზღვითა და მზით, საუკუნოვანი ლმებითა და მაგნოლიებით, მშვენიერესი არქიტექტურითა გულითადი ადამიანებით, მა მ ბოლო სამი წელიწადია ამ აქმა განსაკუთრებული მიზიობის ძალა იმითაც შეიძინა, ი იტვირთა საქართველოს კუური ცენტრის როლი. აქ რთული თეატრალური და კალური დღესასწაულები, ითი ხელოვნების ვერნისაჟები, საუცხოო წიგნებისა და ჟურნალების პრეზენტაციები მარ ოდენ მხატვრული კი არა, ი მნიშვნელობის საზოგადოივ-პოლიტიკური მოვლენე, რომლებმაც ღირსეული ად ლი დაიკავეს ქართველი ერის ცხოვრებაში.

ღირსსახსოვარი დღე იყო 1993 წლის 3 ოქტომბერი, როცა „აბესალომ და ეთერით" თავისი ისტორია დაიწყო ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა. ეს ფაქტი მართლაც სცილდებოდა ერთი კონკრეტული კულტურული მოვლენის ფარგლებს. იმ საყოველთაო სასოწარკვეთის ჟამს, ეს იყო დიდმნიშვნელოვანი აქცია — ფალიაშვილის ღვთაებრივმა მუსიკამ დათრგუნული სული გაუმხნევა, შვება მოჰგვარა ადამიანებს.

ამაღლებული, ზეიმური განწყობილება ახლდა 1994 წლის 19 სექტემბერს რევაზ ლაღიძის „ლელას" პრემიერას. ამ ქმნილების უმშვენიერესი მელოსი და პატრიოტული სული მაშინ განსაკუთრებით ცხოველმყოფელი აღმოჩნდა მაყურებელთა დარბაზისათვის.

ბათუმის საოპერო თეატრის ისტორიას, მაყურებლისა და მსმენელის მეხსიერებაში 1995 წლის 11 მარტი, ჯუზეპე ვერდის „აიდას" პრემიერის დღე, დარჩება როგორც დიდი შემოქმედებითი გამარჯვება. ახლადშექმნილი თეატრის მესამე სპექტაკლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თბილისიდან საგანგებოდ „აიდას" მოსასმენად ჩასული სამასამდე მსმენელი, მოწმენი აღმოვჩნდით დამატყვევებელი საოპერო დადგმისა, რომელიც განახორციელა ქართული თეატრისა და კინოს ჩინებულმა ოსტატმა გიგა ლორთქიფანიძემ. მან გაგვიტაცა ორიგინალური და ემოციური რეჟისორული ხელწერით, თავისებურად გააზრებული, მკვეთრი და გამომსახველი მიზანსცენებით, მხატვრული სახეების ღრმა, რელიეფური წარმოსახვით. ბათუმელთა „აიდას" ყველა ღირსება, ჩემი აზრით, იმით არის განპირობებული, რომ მისი რეჟისურა, სპექტაკლის სცენური დინამიკა სინქრონულ მთლიანობაშია დირიჟორის მუსიკალურ ინტერპრეტაციასთან.

დირიჟორი დავით მუქერია ირჩევს ვერდის პარტიტურის სიღრმისეული შრეების წინა პლანზე წამოწევისა და ლოგიკური გახსნის გზას. იგი მთელ თავის დაუოკებელ ვნებათა ღელვას ელვისებურად გადასცემს ორკესტრს, გუნდს, შემსრულებლებს და მაყურებელთა დარბაზს. დავით მუქერია ვირტუოზულად ამეტყველებს ვერდის მუსიკის უფაქიზეს ვოკალურსა თუ საორკესტრო დეტალებს, პოლიფონიური ქსოვილის ურთულეს ჩუქურთმებს. იგი ფლობს შემოქმედების დიდ ძალას, მასთან ერთად მღელვარედ მიჰყვები მუსიკალური აზროვნების შეუჩერებელ დინებას, ღრმად იჭრები გმირთა ცხოვრების საბედისწერო პერიპეტიებში. მართლაც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენენ ლოგიკურად მომზადებული და ფსიქოლოგიურად გამართლებული მუქერიასეული კულმინაციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შესრულების დინამიკურობა, ფსიქოლოგიური მახვილების გაღრმავება, იგი რელიეფურად ავლენს „აიდას" სიმფონიზმის მთელ სიდიადეს, მისი მუსიკის გრანდიოზულ ხმოვანებას, ორკესტრისა და გუნდის ტემბრულ ფერებს. დირიჟორის გააზრებას ახასიათებს კონტრასტული შრეების გამძაფრების, გამოკვეთის ტენდენცია, რაც ვერდის საოპერო ესთეტიკის საფუძველს წარმოადგენს და ამ ოპერის ძირითად დრამატურგიულ ხაზს წარმოქმნის. კონკრეტული დრამატურგია კი ესოდენ ახლობელი აღმოჩნდა დავით მუქერიას შემოქმედებითი ბუნებისათვის. დირიჟორი შთაგონებით ავითარებს განსხვავებულ ემოციურ შრეებს — დრამატულს, ტრაგიკულს...

ბათუმელთა „აიდას" გამარჯვებაში განსაკუთრებით მინდა გამოვყოთ დამდგმელი მხატვრის მამია მალაზონიას ნამუშევარი. ფარდის გახსნისთანავე მისი გრანდიოზული ქმნილება, ეგვიპტური ბარელიეფი გადაიშლება მაყურებლის წინაშე, და მას ამ მონუმენტური ბარელიეფის შემხედვარეს სუნთქვა ეკვრის, მხატვრის მიერ შექმნილი და ავანსცენაზე გამოტანილი მონუმენტური კედელი შოკისმომგვრელად მოქმედებს მაყურებელზე, თავი ევროპის ან ამერიკის სახელგანთქმულ თეატრებში გგონია. მამია მალაზონია ფორმის, ფერის, პლასტიკის გამახვილებული გრძნობის მქონე მხატვარია, ძლიერად აქვს ნაგრძნობი ოპერის სტილისტიკა. ახასიათებს ლაკონიზმი, ემბლემატურობა, არქიტექტურულობა. იგი ღრმად მოაზროვნე მხატვარ-რეჟისორად გვევლინება, რომელიც დამდგმელ რეჟისორთან მუშაობისას აქტიურად ერევა მთელი სპექტაკლის რიტმიკასა და პლასტიკაში, იყენებს სცენური გამომსახველობის სრულიად განსხვავებულ საშუალებებს.

უმაღლეს შეფასებას იმსახურებს გუნდი (მთავარი ქორმეისტერი ავთანდილ ჩხენკელი), რომლის ხმოვანება ხასიათდება მონუმენტალიზმით, სიღრმით, მდიდარი ტემბრული სალებავებით. გუნდი ერთი მხრივ ავლენს ეპიკურ სიდიადეს, მეორეს მხრივ წარმართავს ოპერის დრამატურგიულ მსვლელობას. ხან მიმქრალი, ხან მავედრებელი, ხანაც ზეიმური, მძლავრი და კაშკაშაა გუნდის ხმოვანება. საორკესტრო კულმინაციებთან ერთად გუნდი ძლევამოსილების გამაოგნებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. მრავალფეროვნებით ხასიათდება საგუნდო ხმოვანების პალიტრა — ხან მძლავრი შემართებით არის ანთებული, ხანაც ამაღლებული ქორალური გამჟღერებით.

ვერდის ოპერის ორიგინალის ენაზე შესრულება — ძალზე მართებული გადაწყვეტილებაა, ამასთან საკმაოდ რთული დასაძლევიც, რაც ქართველმა მომღერლებმა მშვენივრად შეძლეს.

როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით აიდას რთულ პარტიას შესანიშნავად გაართვა თავი მარინე ჯახუტაშვილმა, მისი აიდა ჭეშმარიტი შენაძენი და მონაპოვარია ჩვენი საოპერო ხელოვნებისა. ყოველი მისი მონოლოგი თუ დიალოგი ვოკალური ხელოვნების საუკეთესო ხარისხშია აყვანილი. აქ მთელი სისავსით გამოჩნდა მომღერლის ყველა საუკეთესო თვისება — ხმის მომხიბვლელი ტემბრი და ძალა, ელვარე ვოკალური გრადაციები.

უდიდესი არტისტიზმით, ვოკალური ოსტატობით გამოირჩევა ალექსანდრე ხომერიკის ნამუშევარი, მის შესრულებაში მკვეთრად არის წარმოჩენილი გმირის ხასიათის ღრმა გახსნისაკენ მისწრაფება, ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება თავისი გმირის — რადამესისადმი. მომღერალი სრულ შინაგან ჰარმონიას ამყარებს თავის გმირთან. აქვე ვიტყვი ორიოდ სიტყვას ალექსანდრე ხომერიკზე, როგორც ბათუმის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელზე. იგი მართლაც ყოველი ჩვენთაგანის გამორჩეულ სამადლობელს იმსახურებს, როგორც ამ თეატრის გუთნისდედა, მისთვის მიწყივ მშრომელი და ოფლგადამდინარე. ჩვენს საუკუნეში რამდენჯერმე იყო ცდა ბათუმში დაეარსებინათ საოპერო თეატრი, მაგრამ ყოველთვის ქარწყლდებოდა ენთუზიასტთა ცდები. მხოლოდ ალეკო ხომერიკის უდიდესი ძალისხმევით გადაიქცა სინამდვილედ თაობების ნაოცნებარი, მართლაც გასაოცარი და დასაფასებელია მისი ორგანიზატორული ნიჭი, თავდადება და სიყვარული თავისი საქმისადმი.

ზაზა ხამათაშვილისათვის ამონასროს პარტია სერიოზულ მიღწევად მიმაჩნია. ამ ახალგაზრდა, დამწყებმა ბარიტონმა დიდი შესაძლებლობები გამოავლინა როგორც ტექნიკური, ისე სახეობრივი, ხასიათის სიღრმის თვალსაზრისით. ამასთან ელვარებით, სისავსით გვიჩვენა თავისი ხმის ჩინებული ტემბრი, სიძლიერე და მეტალი.

ბათუმის თეატრს პატივი დასდო ჩვენმა სასიქადულო ხელოვანმა ცისანა ტატიშვილმა და მან აიდაში ამნერისი იმღერა. იგი ოცი წლის განმავლობაში უდიდესი წარმატებით მღეროდა აიდას პარტიას და ამჯერად მსმენელის წინაშე ახალი პარტიით წარსდგა და თავისი მდიდარი გამოცდილებით პროფესიონალიზმის უმაღლესი კლასი გვიჩვენა.

რამფისის პარტიას მღეროდა ო. ხოფერია, ეგვიპტის მეფისას კი — ტ. ჭიჭინაძე; გამომსახველი იყო მთავარი ქურუმი ქალის (ნ. მამალაძე) ხმა.

როგორც ზემოთ ვთქვით, „აიდას" პრემიერას ბათუმში ქართული კულტურის ბევრი მოღვაწე დაესწრო. ჩვენ ზოგიერთ მათგანს ვთხოვეთ აზრის გამოთქმა:



აკადემიკოსი კოტე წერეთელი: ბათუმის ოპერის თეატრის წინა ორივე სპექტაკლი ნანახი მაქვს, ორივე მათგანმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მომწონს, რომ ამ თეატრმა თავისი არსებობა ქართული კლასიკით დაიწყო, ამჯერად კი საოპერო ხელოვნების ისეთ მწვერვალს შეეჭიდა, როგორიც არის „აიდა". ძალიან მსიამოვნებს, რომ თეატრის დასმა გიგა ლორთქიფანიძისა და დირიჟორ დავით მუქერიას ხელმძღვანელობით წარმატებით გაართვა მას თავი. განსაკუთრებით მომეწონა ახალგაზრდა მომღერალი ზაზა ხამათაშვილი, ალეკო ხომერიკი და მარინე ჯახუტაშვილი. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება სამედო მერმისის თეატრი. აჭარის ხელისუფლება ყველაფერს იღონებს სამისოდ, რომ ბათუმის ოპერის თეატრი კვლავ მაგრად იდგეს ფეხზე, კვლავაც გვჩუქნიდეს დიდ ხელოვნებასთან შეხვედრის დაუვიწყარ წუთებს.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნადია შალუტაშვილი: გასახარია, რომ მარინე ჯახუტაშვილის აიდას სახით დაიბადა შესანიშნავი ვოკალური სახე, რომელიც არანაკლები სცენური მომხიბვლელობით გამოირჩევა. მან შესანიშნავი ტექნიკური ოსტატობა გამოავლინა, როგორც ხმის რეგისტრული მთლიანობის მიღწევით, ისე მაღალი ბგერების აღებისას. ძალდაუტანებლად ჟღერს მისი შესრულებით უკიდურესად მაღალი ბგერები. პირველ ნომრად მე მაინც გუნდს გამოვყოფდი, ასეთი სიამოვნება კარგა ხანია არ მიმიღია. ჩვენ, კულტურის მსახურნი მადლობელი ვართ აჭარის ხელისუფლებისა, პირადად ბატონი ასლან აბაშიძისა, რომელიც ასეთ ყურადღებას იჩენს კულტურის მიმართ საერთოდ და ჩვენი მოპატიჟებაც არ ავიწყდება.

მწერალი თამაზ წივწივაძე: უნდა გითხრათ, რომ ამ ბოლო დროს ყველა პრემიერას მხოლოდ ბათუმში ვესწრები!

(დასასრული მე-4 გვ.).

• • •

სურათზე: აიდა — მარინე ჯახუტაშვილი, რადამესი — ალექსანდრე ხომერიკი.

ინფორმაციები მთავრობის სახლიდან

განიხილავენ განათლების სისტემის რეფორმის პროექტებს

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ირაკლი მენაღარიშვილმა გამართა თათბირი საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის მომზადების შესახებ. თათბირს ესწრებოდნენ — განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე, რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე როინ მეტრეველი, სხვა ოფიციალური პირები. გაიმართა საუბარი იმ პროექტების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია განათლების სამინისტროს, საპარლამენტო კომისიის, რექტორთა საბჭოსა და მოქალაქეთა კავშირის მიერ.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ წარდგენილი დოკუმენტებიდან გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა რაციონალური წინადადება და განხილული იქნეს საერთო კონტექსტში.

გადაწყდა, რომ კომისია ამ საკითხის თათბირებს მომავალშიც გააგრძელებს. ყოველი წარდგენილი დოკუმენტი დაიხვეწება საერთო კანონმდებლობასთან მიმართებაში.

კომისია დამტკიცდა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წინადადების თანახმად თავისი დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური და კინოხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დაარსების 70 წლისთავის აღსანიშნავი მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ირაკლი მენაღარიშვილი (თავმჯდომარე), დავით მაღრაძე (თავმჯდომარის მოადგილე), გიზო ჟორდანია (თავმჯდომარის მოადგილე), [illegible], არჩილ გოგელია, გურამ გოგიაშვილი, [illegible] (კომისიის მდივანი), [illegible] ნოდარ [illegible]იძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ვასილ კიკნაძე, მაია კობახიძე, გიგა ლორთქიფანიძე, გურამ ფანჯიკიძე, თამაზ ქვარიანი, ელდარ შენგელაია, რეზო ჩხეიძე.

სახელწოდება შეიცვალა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გაითვალისწინა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოსთან შეთანხმებული თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტის წინადადება და მინისტრთა კაბინეტის დადგენილების თანახმად ამიერიდან მას ეწოდება თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მოწყობის დემოკრატიული პარტიის

პროგრამა +

დემოკრატიული პარტია დგას ერთიანი, განუყოფელი, ძლიერი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს პოზიციებზე, მასში შემავალი ავტონომიებით, სადაც ავტონომიები წარმოდგენილი უნდა იქნეს არა როგორც ფედერაციის სუვერენული სუბიექტები, არამედ ერთიანი სახელმწიფოს ორგანული შემადგენელი ნაწილების სახით ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის პირობებში, რაც შესაბამისი კანონებით უნდა იქნეს მოწესრიგებული.

დასაშვებად მიგვაჩნია სამხარეო-რეგიონული მმართველობაც არჩევითობის საფუძველზე, რაც ასევე კანონით უნდა იქნეს მოწესრიგებული, რომელიც განსაზღვრავს მხარეებს არა როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებს, არამედ ერთიანი სახელმწიფოს შემადგენელ ორგანულ ადმინისტრაციულ ერთეულებს. ამასთან ასეთ დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს, როგორც ერთიანი ეკონომიკური სხეულის განმსაზღვრელი ეკონომიკური მექანიზმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი მმართველობის პოლიტიკური სისტემა წარმოგვიდგება ორპალატიანი პარლამენტის სახით; პირველი — წარმომადგენლობითი სამხარეო საბჭოს (სათათბიროს) სახით, მეორე — საკანონმდებლო საბჭო ანუ სახალხო საბჭო.

საკანონმდებლო საბჭო იღებს კანონებს, ამტკიცებს მთავრობას, ამტკიცებს ბიუჯეტს და სხვა.

მმართველობის სისტემა წარმოგვიდგენია საპარლამენტო და საპრეზიდენტო მმართველობის სახით, სადაც პარლამენტს უფლება ეძლევა გადააყენოს პრეზიდენტი თანამდებობიდან, შეუკვეცოს ან დროებით შეუჩეროს უფლებები სათანადო პირობების არსებობისას.

პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს პარლამენტის დათხოვნის ან მისი უფლება-მოვალეობების დუბლირების ან მის საქმიანობაში ადმინისტრაციული წესით ჩარევის ან პარლამენტის მიერ მიღებული კანონების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების შეჩერების ან გაუქმების უფლება.

საქართველოს მთელი სახელმწიფოებრივი სისტემა გამოხატავს და ახორციელებს საერთო-სახალხო და სახელმწიფო ინტერესებს ერთიანობაში. პოლიტიკური სისტემის საფუძველია სიტყვის თავისუფლება, რაც კანონით უნდა იყოს გარანტირებული და დაცული.

ამასთან ერთად, დემოკრატიული პარტია კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს რესპუბლიკის ყოველგვარი ფედერალიზაციისა, რა სახითაც უნდა იყოს ეს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული სისტემა ეყრდნობა სახალხო ინტერნაციონალიზმს, რაც საქართველოში, როგორც ერთიან სამშობლოში მცხოვრები ქართველი ხალხის და ყველა სხვა ხალხის ურთიერთპატივისცემაში და სახელმწიფოებრივ ინტერესთა ერთიანობაში გამოიხატება.

ეკონომიკა პრობლემათა პრობლემაა, მის მდგომარეობასა და განვითარებაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის არსებობა, სწორედ ამიტომ აქვს რესპუბლიკის ეკონომიკური მოწყობის საკითხს არსებითი მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში.

კეთილდღეობა ყველასათვის — ასეთია დემოკრატიული პარტიის ძირითადი იდეოლოგიური პრინციპი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მოწყობის სისტემას, რომლის ამოსავალი პრინციპებია ადამიანის უფლების, მისი სიცოცხლის და თავისუფლების დაცვა.

საქართველოს ეკონომიკურ მოწყობას საფუძვლად უნდა დაედოს დემოკრატიული, თავისუფლად რეგულირებადი საბაზრო სოციალური ეკონომიკა წარმოების და მოხმარების ინტერესთა ურთიერთმისადაგები ჰარმონიული ერთიანობის სახით, სოციალური თანასწორობის საფუძველზე. სოციალური თანასწორობა არის საზოგადოების თითოეული წევრის და ზოგადად მთელი საზოგადოების სასიცოცხლო და საარსებო ინტერესთა თანასწორი უფლებების აღიარება, რომ საზოგადოების თითოეული წევრი ფლობდეს ფიზიკური და სულიერი განვითარების, სამუშაოს, დასვენების და სწავლა-აღზრდის თანასწორ უფლებებს, ფლობდეს და განკარგავდეს მატერიალურ ქონებას. ამასთან ეკონომიკური უთანასწორობის და საზოგადოების სოციალური დაცვის მინიმალური დონე უნდა განისაზღვრებოდეს საზოგადოების თითოეული წევრის არსებობის და განვითარებისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების ფასების მაქსიმუმის ჯამით, რაც სახელმწიფო გარანტიებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ამ პრინციპზე აგებულ საქართველოს ეკონომიკას საფუძვლად უნდა დაედოს საკუთრების მრავალწყობიანი სისტემა: კერძო, ჯგუფური, სახელმწიფო და შერეული საკუთრების სახით, შერეულ საკუთრებად ჩვენ წარმოგვიდგენია სხვადასხვა ტიპის საკუთრების დროებითი სამეურნეო ერთიანობა. დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის შექმნას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყანაში მიმდინარე სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია.

საგადასახადო სისტემის საფუძვლად კი უნდა იქნეს აღებული წარმოების და მომხმარების ინტერესთა ერთიანობა, რამაც სტიმული უნდა მისცეს ეკონომიკის განვითარებას.

უნდა განხორციელდეს მოსახლეობის სავალდებულო სამედიცინო და სოციალური დაზღვევა, შეიქმნას შესაბამისი სადაზღვევო ფონდები, რის საფუძველზეც განხორციელდება მოსახლეობის უფასო მკურნალობა, სწავლება და სოციალური დაცვა.

ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს ტყეები და მდინარეები, ტბები, ჭაობები, საზღვაო და საჰაერო სივრცე, გზები და გზატკეცილები, რკინიგზები და რკინიგზის სადგურები, ავტოსადგურები და სატრანსპორტო კომუნიკაციები, საზღვაო ტრანსპორტი, წიაღისეული სიმდიდრეები, ნავთობსადენები, გაზსადენები, საქალაქო მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტი, ფარმაცევტული მრეწველობა, ამასთან უნდა ითქვას, რომ ამ სფეროებში სახელმწიფო საკუთრება არ გამორიცხავს პარალელურ, კერძო, ჯგუფურ ან შერეულ ინიციატივებს დამოუკიდებელი სფეროს სახით ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე.

აღნიშნულის გარდა, როგორც მსოფლიოს ხალხთა ეკონომიკური ისტორია გვიჩვენებს, წარმოების მაღალი შედეგები დამოკიდებულია არა იმდენად საკუთრების ფორმაზე, ეკონომიკურ მოდელზე, კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოზე ან გეოპოლიტიკურ პირობებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ განისაზღვრავს წარმოების წესი და საკუთრების არსი წარმოების პროცესის ყველა მონაწილის ინტერესების ჰარმონიულ დაცვას და საწარმოო ძალთა მუდმივ განვითარებას, რაც პრაქტიკულად გამოიხატება ადამიანთა მიერ მათი წარმოებითი ურთიერთობების პირობებში მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებებით მათ გენერალურ ერთობლიობაში — ეკონომიკური პოლიტიკის სახით. თუ იგი გამოხატავს ქვეყნის და მოსახლეობის ინტერესებს და ეკონომიკური რეალობების ადეკვატურია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოწყვეტილია ადამიანთა უმრავლესობის ინტერესებს და პრაქტიკაში ეკონომიკური ავანტიურიზმის სახით გვევლინებიან და კრახით ამთავრებენ არსებობას.

ეკონომიკური და სოციალური მოწყობის ზემოაღნიშნული სისტემის პირობებში განათლების სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს ახალგაზრდობის სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური განათლება მათ ჰარმონიულ ერთიანობაში, სპარტანული აღზრდის პირობებში, უფასო ზოგად-საგანმანათლებლო სწავლების საფუძველზე. რაც შეეხება უმაღლეს სპეციალურ და საშუალო-სპეციალურ განათლებას, იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფოს ხარჯზე, ისე კერძო სტრუქტურების მიერ. ამასთან ფასიან სწავლებას საფუძვლად უნდა დაედოს სწავლის ქირის გადახდის გადავადება განათლების მიღებიდან მუშაობის დაწყების შემდეგ ათი წლის განმავლობაში გადახდით, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაკრედიტება სწავლის პერიოდში უნდა მოხდეს ეროვნული ბანკის საკრედიტო რესურსებიდან, რისთვისაც კანონში კრედიტების შესახებ, რომელსაც ალბათ მომავალი პარლამენტი მიიღებს, სპეციალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული განათლების ინდივიდუალური დაკრედიტების მუხლი. განათლების სისტემის ეფექტიანობას განსაზღვრავს მაღალი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის შენარჩუნება უნდა მოხდეს მათი საერთაშორისო ინტელექტუალური ბაზრის სისტემაში ჩართვის გზით.

დემოკრატიულ პარტიას მიაჩნია, რომ ადამიანთა საზოგადოების არსებობის და განვითარების ერთადერთი საშუალებაა კონკრეტული მატერიალური გარემო ანუ ბუნება — ადამიანი (ადამიანთა საზოგადოება) თვითონაც ბუნების შვილია, მისი განუყოფელი ნაწილია. ადამიანთა საზოგადოება და ბუნება ერთმანეთს განაპირობებენ და ავსებენ. აქედან გამომდინარე, გარემომცველი ბუნების დაცვა, მისი მოვლა-პატრონობა დაუშვებელია ადამიანთა საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ხარჯზე, ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოების მოვლა-პატრონობა და განვითარება შეუძლებელია გარემომცველი ბუნებისათვის ზიანის მიყენების ხარჯზე.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქენი განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, რასობრივი და რელიგიური განსხვავებისა, სარგებლობენ თანაბარი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უფლებებით. მათ უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნენ როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე ნებისმიერ კანონიერ წარმომადგენლობით ორგანოში.

საქართველოს მოქალაქეებს აქვთ სწავლის, მუშაობის, დასვენების და მკურნალობის თანაბარი უფლებები. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა — ქართული ენა.

გურამ უსტიაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე, პროფესორი.

1995 წლის 25 თებერვალი

დემოკრატიული პარტიის

განცხადება

ზოგიერთი პოლიტიკური მომენტის შესახებ

უკანასკნელ ხანს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ფართო პროპაგანდას უწევენ საქართველოს კომუნისტურ პარტიებს და ორგანიზაცია „სტალინს".

დემოკრატიული პარტია დიდი სიმპათიით არის განწყობილი სოციალური თანასწორობის იდეის და სამართლიანი სოციალური სისტემების მიმართ. დემოკრატიულ პარტიას მიაჩნია, რომ სტალინის პიროვნება, უსამართლოდ შეურაცხყოფილი მისი სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პოლიტიკანი, უვიცი, უცხო მარიონეტი ხელმძღვანელებისაგან ისტორიის მიერ მთელი თავისი სიდიადით წარმოდგება, მაგრამ გასაოცარი სულ სხვაა. თუ ამათ სოციალიზმი უნდოდათ, მაშინ რატომ დაანგრიეს იგი, რატომ შეურაცხყვეს სტალინი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ორგანიზებულია მათ მიერ, ვინც ცდილობს ხალხის გრძნობების ყალბი მანიპულირების გზით არჩევნებში მიღებული შესაძლო შედეგი ერთხელ კიდევ გამოიყენონ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ ან კიდევ იოსებ სტალინი რომ ცოცხალი იყოს, იყოს თავის პოსტებზე, იგი ამ კამპანიას დაიყენებდა თავის გვერდით?

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე გურამ უსტიაშვილი.

აქტუალური ინტერვიუ

„საქწიგნი" იმედს არ ჰკარგავს

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რომ ძალზე მტკივნეული პროცესია, ეს თვალნათლივ დაეტყო ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, თუმცა, ყველაზე სავალალო, ალბათ, მაინც ის არის, რომ ეს პროცესი, ჯერჯერობით, დიდ ზიანს აყენებს ჩვენს სულიერ ღირებულებებს, კულტურას, განათლებას, ლიტერატურას, ხელოვნებას...

აბა, მაგალითად, რა მოუტანა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ წიგნის ვაჭრობის საბითუმო-საცალო რესპუბლიკურ გაერთიანება „საქწიგნს?"

— ჯერჯერობით, სასიკეთო—არაფერი — გულისტკივილით უპასუხებს „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტის ამ კითხვას გაერთიანება „საქწიგნის" მმართველი ზურაბ ჩილაჩავა და, შემდეგ განაგრძობს:

— ბანკში ჩვენს ანგარიშზე არსებული — დაახლოებით 50 მილიონი მანეთი — 60 მილიონ კუპონად იქცა. სასწაულით გადავურჩით გაკოტრებას.

— შარშან, ნოემბერში, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 ოქტომბრის № 767 დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „თბილისის მერიამ, რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა და სხვა უწყებებმა „საქწიგნს" ბალანსიდან ბალანსზე საკუთრებაში გადასცენ წიგნის მაღაზიებისა და სხვა შენობების ის ფართობები, რომლებშიც განთავსებულია „საქწიგნის" ობიექტები და რომლებიც „საქწიგნს" ჰქონდა სარგებლობაში".

მახსოვს, ამ დადგენილების გამოქვეყნებას როგორი აღფრთოვანებით გამოეხმაურა ქართული მწერლობა, ინტელიგენცია,. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" წერდა: „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია მიესალმება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ამ დადგენილებას, რომელიც ჩვენი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროზე ზრუნვის უდავო გამოვლინებაა?"

გვაინტერესებს, რამ გამოიწვია მინისტრთა კაბინეტის ხსენებული დადგენილების მიღება და თუ ხორციელდება იგი დღესდღეობით პრაქტიკულად?

— ამ დადგენილებას წინ უძღოდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის 1993 წლის 14 ივნისის № 122 განკარგულება. ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა ჩვეული ალღოთი განჭვრიტა ქართული წიგნის ხვალინდელი დღე. მან, როგორც ჩანს, ჩვენზე უკეთ იცის, რომ წიგნი ეკონომიურად, ჯერჯერობით, ვერ იქნება მომგებიანი პროდუქცია. მართლაც, როცა ადამიანს უჭირს, როცა შიმშილის პრობლემა მწვავედ დგას, წიგნის საყიდლად თითქმის არავის სცხელა, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა ისიც კარგად იცის, რომ უწიგნოდ ქვეყანა დაკნინდება, გადაგვარდება და, მანაც, ისედაც ძვირადღირებული წიგნი ზედმეტი ხარჯებისაგან გაათავისუფლა.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმაც მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებას და ზემოთ ხსენებული დადგენილება მიიღო. თბილისის მერიამაც არ დააყოვნა ანალოგიური დადგენილების მიღება. პირიქით — „საქწიგნელებმა" მადლობის მეტი რა გვეთქმის — ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა და მისმა კაბინეტმა ფიქსირებული გადასახადი გაუნახევრა წიგნის მაღაზიებს. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, დადგენილება დადგენილებად დარჩა, საქმე კი არ გაკეთდა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის ოქტომბერში მიღებული დადგენილება დღემდე შეუსრულებელია. სხვადასხვა, გამოგონილი საბაბის მომიზეზებით თბილისის არც ერთი რაიონის საბინაო ტრესტს, არც ერთ უწყებას ჯერ კიდევ არ გადმოუცია „საქწიგნისათვის" ბალანსიდან ბალანსზე წიგნის მაღაზიების შენობები.

საქართველოს მხოლოდ ექვსი ქალაქის — ბორჯომის, ზესტაფონის, თელავის, ხაშურის, ჭიათურის, ფოთის ხელმძღვანელობამ შეასრულა მინისტრთა კაბინეტის დადგენილება. სხვები, რატომღაც თავს იკავებენ, რაღაცას ელოდებიან, ძალიან საინტერესოა, რას? ალბათ ფიქრობენ, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. ჩვენ კი, მაინც გვჯერა — გაზაფხული მოვა...

— თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, სკვერებში, ბაზრების წინ, მეტროს შესასვლელებთან, უხვად არის გამოფენილი მოსკოვში თუ საზღვარგარეთის სხვა დიდ ქალაქებში გამოცემული დარგობრივი და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ძალზე ძვირად, თანაც რუსულ რუბლზე იყიდება.

ამ დროს, თანდათან ცარიელდება წიგნების მაღაზიები, არადა, აქ შედარებით იაფად შეიძლება სასურველი ლიტერატურის შეძენა, თანაც — კუპონით... იქნებ, აგვიხსნათ: რა ხდება?

— შევეცდები... 1992 წლამდე „სოიუზკნიგა" დაახლოებით 20 მილიონი მანეთისა და 10 მილიონი დოლარის წიგნს გვიგზავნიდა. ჩვენ გამომცემლობები კი ყოველწლიურად 50 მილიონი მანეთის ლიტერატურას გვაწვდიდნენ სარეალიზაციოდ. უკვე მესამე წელია, მოსკოვიდან წიგნი არ მიგვიდის. ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობებმა კი, პოლიგრაფიული ხარჯებისა და ქაღალდის კატასტროფული გაძვირების გამო, მინიმუმამდე დაიყვანეს წიგნების გამოცემა. რასაც ბეჭდავენ, იმას ძირითადად თვითონვე ყიდიან — ზოგს ბითუმად, ზოგს — ცალობით: არც გამტყუნებათ, რადგან, ქაღალდისა და სხვა პოლიგრაფიული მასალების შეძენა, მათ, ძირითადად, ნაღდი ანგარიშსწორებით უჯდებათ, ის წიგნები, რომლებიც დღეს „საქწიგნის" მაღაზიებში იყიდება, ან ძველი ნაშთია, ან — კერძო პირებისაგან შეძენილი, ზოგჯერ გამომცემლობის დირექტორები იჩენენ კეთილშობილებას, ძველ ტრადიციებს არ ღალატობენ და საკომისიოდ გვაწვდიან წიგნს სარეალიზაციოდ. რას იზამ ასეთი ყოფილა საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები.

ხალხმრავალ ადგილებში, რუსულ რუბლზე, წიგნით ვაჭრობას რაც შეეხება, ეს „საქწიგნელების" საქმე არ არის. ქუჩებში, [illegible], ფაბრიკა-ქარხნებში კომუნისტების დროსაც მამასახლისად იყიდებოდა წიგნი, მაგრამ მაშინ წიგნის ამ „რეალიზატორებს" სხვა სახელი ერქვათ, ახლა კი „ბიზნესმენებს" ვეძახით. ისე, მე თუ მკითხავთ, არც მათ გვეტყუნებათ — მოსკოვში, რუბლზე ნაყიდ და ჩამოტანილ წიგნს თბილისში კუპონებზე ვინ გაყიდის!...

— დღეს, ყველა ვხედავთ, თბილისი აფთიაქის ჯიხურებითაც მოიფინა, აფთიაქებია გახსნილი თქვენს ობიექტებში, გარდა ამისა შევამჩნიეთ, ზოგიერთ მაღაზიაში წიგნთან ერთად ალკოჰოლიანი სასმელები, სიგარეტი და ათასი სხვა რამ იყიდება. ესეც „საბაზრო ეკონომიკის" ბრალია?

— აფთიაქები, იცოცხლეთ, მართლაც ყოველ ფეხის ნაბიჯზეა გახსნილი, რაც დღეს თბილისში სამკურნალო საშუალებებია შემოზიდული, ჩინეთს დააკმაყოფილებდა, მაგრამ რა ფასებიც ადევს, ყველამ იცის...

ადრე თბილისელებს ერთი საყვარელი ებრაელი კაცი გვყავდა, მეტსახელად „ჩაჯა" ვეძახდით. დილიდან საღამომდე ლესელიძის ქუჩაზე ორთაჭალის ცნობილ სკვერში იჯდა იგი და გაჭირვებულ მუშტარს ელოდა. რა წამალიც უნდა გვეთხოვა, იმ წუთშივე მოგირბენინებდა, შეგავსებდა — ფასს დაგიკლებდა. თუ ფული არ გქონდა და მომაკვდავი ავადმყოფი გყავდა, უფასოდაც კი, ნისიად ენდობოდა... კარგი დრო იყო, იყო, ერთი კაცი ამარაგებდა მთელ თბილისს „იმპორტული" წამლებით.

ახლა რაც ხდება, გასაოცარია, ყველა ქუჩაზე ოთხ-ხუთი აფთიაქია გახსნილი. წამლის ფასი თუ იკითხე, ინფარქტი გარანტირებული გაქვს. გასაკვირია, მთელი მსოფლიოს ჰუმანური დახმარება მარტო ჩვენ გვეგზავნება წამლების სახით? ნეტა რა სენი გვჭირს ქართველებს ასეთი?

რატომღაც, ამ საქმის მესვეურებს „საქწიგნის" დაცარიელებული მაღაზიები განსაკუთრებით მოსწონთ და ჩვენი დირექტორებიც ვერ უძლებენ ცდუნებას — იჯარაში აღებული ფულით ფიქსირებულ გადასახადს მაინც გადავიხდითო...

არ გეგონოთ, თავს ვიმართლებდე, ან ჩემს კოლექტივს ვაფარებდე ხელს. არა, მე მინდა ქართველმა საზოგადოებრიობამ იცოდეს — რამ გამოიწვია წიგნის ზოგიერთ მაღაზიაში ამდენი არაპროფილური საქონლის შემოტანა...

უკანასკნელ ხანებში კატასტროფულად გაიზარდა კომუნალური და სხვა სახელმწიფო გადასახადები, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ტელეფონის სააბონენტო გადასახადი ორგანიზაციას თვეში 10 მილიონი კუპონი უჯდება. „საქწიგნი", როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წიგნითა და სასკოლო-საკანცელარიო საქონლით მეტყველებურად ველარ ამარაგებს თავის მაღაზიებს. თანამშრომლებმა ხელფასი რომ გასცენ და სახელმწიფო გადასახადებიც გადაიხადონ, ზოგიერთი მაღაზიის ხელმძღვანელი იძულებულია სარეალიზაციოდ' არაპროფილური საქონელი შემოიტანოს.

წიგნის მაღაზიებში არაპროფილური საქონლით ვაჭრობას, ძირითადად ხელი შეუწყო, მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 4 მაისის № 522 დადგენილებამ, რომელშიც ნათქვამია: „ყველას, განურჩევლად სტატუსისა, უფლება აქვს ივაჭროს ნებისმიერი საქონლით, გარდა კანონით აკრძალულისა (ნარკოტიკული ნივთიერება, იარაღი)".

ეს დადგენილება, ჩემი აზრით, გადასახედია. ხომ არ შეიძლება წიგნთან ერთად ნავთიც იყიდებოდეს და კარაქიც. მადლობა ღმერთს, ჩვენი მაღაზიები აქამდე ჯერ არ მისულან...

მიუხედავად ამ დადგენილებისა, „საქწიგნის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი გვაქვს, ვისარგებლოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ახალი, 1994 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით, სადაც ნათქვამია: „ბალანსიდან ბალანსზე გადაცემულ შენობებში „საქწიგნმა" ძირითადად წიგნითა და სასკოლო-საკანცელარიო საქონლით უნდა ივაჭროს".

მაღაზიების გადმოცემისთანავე, თუ კი ამ საქმეს საშველი დაადგა, შევქმნით ახალ ჩამონათვალს — რა საქონლით ვაჭრობის უფლება ეძლევა ჩვენს ობიექტებს. ზუსტად ვამბობ — არავის შეზღუდვას არ ვაპირებთ, მაგრამ გვინდა, წიგნის მაღაზია წიგნის მაღაზიას გავდეს.

— ჩვენი გაზეთის მკითხველებს განსაკუთრებით აინტერესებთ, მარაგდება თუ არა რესპუბლიკის ბიბლიოთეკები ახალი წიგნებით?

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბიბლიოთეკებიც დააზარალა. უკვე მესამე წელია, ისინი ახალ წიგნს თითქმის არ ღებულობენ. არადა, წიგნის გაძვირების გამო, დღეს სტუდენტი ახალგაზრდობა განსაკუთრებით ეტანება ბიბლიოთეკებს.

ამას წინათ, „საქწიგნის" ინიციატივით კულტურის სამინისტრომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართა რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მთავრობას სთხოვეს — ბიბლიოთეკების ახალი წიგნებით დასაკომპლექტებლად, კულტურის სამინისტროს უპროცენტო სესხის სახით გამოუყოს 500 მილიონი მანეთი. ეს საკითხი განხილვის პროცესშია და იმედია, მალე დადებითად გადაწყდება.

— როგორც გავიგეთ, მოსკოვიდან კერძო პირების მიერ ჩამოტანილი თუ თბილისში გამოცემული წიგნები თბილისშივე რჩება სარეალიზაციოდ და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებს არ მიეწოდება... რამდენად მართალია?

— სამწუხაროდ, ასეა... გამომცემლობებს და კერძო პირებს სატრანსპორტო საშუალებები არ გააჩნიათ, არც ტვირთის რკინიგზით გაგზავნის პრაქტიკა და გამოცდილება აქვთ. მანქანები რომ ჰყავდეთ კიდეც, ბენზინი ისე ძვირი ღირს, ტრანსპორტირების ხარჯები წიგნის ფასს ერთიორად გაზრდის და მომხმარებელი ვერ შეიძენს...

— თუ ხედავთ გამოსავალს?

— გამოსავალი ერთადერთია: მთავრობა სახელმწიფო გამომცემლობებს უნდა დაეხმაროს ქაღალდისა და სხვა პოლიგრაფიული მასალების შეძენაში. გამომცემლობებმა კი ტირაჟის ნაწილი უნდა გადასცენ „საქწიგნს" საკომისიო საწყისებზე სარეალიზაციოდ. „საქწიგნს" რეგიონების მოთხოვნილება შესწავლილი აქვს, ჰყავს საკუთარი ტრანსპორტი და წიგნის რკინიგზით გაგზავნის უდიდესი გამოცდილება გააჩნია, რაც გაცილებით იაფი ჯდება.

რაც შეეხება საზღვარგარეთ გამოცემული წიგნების შემოტანას, ეს ძირითადად „საქწიგნმა" უნდა განახორციელოს და თანაბრად გაანაწილოს საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, როგორც ამას ადრე აკეთებდა.

— და გაქვთ იმედი, რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, როდისმე მიიღებენ არა მარტო მაღალპოლიგრაფიულ დონეზე, არამედ დიდი ტირაჟითაც დასტამბულ ქართულ წიგნს და საზღვარგარეთ გამოცემულ ლიტერატურას?

— მაქვს იმედი... მიღებულია სპეციალური დადგენილებები და განკარგულებები ქართული წიგნის გამოცემისა და გავრცელების ასაღორძინებლად.

ამას წინათ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და ჩვენი ძალისხმევით „საქწიგნი" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წიგნის გამავრცელებელი ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მე კი ამ ასოციაციის მმართველობის საბჭოს პრეზიდიუმში ამირჩიეს.

ოღონდ, დადგენილებებისა და განკარგულებების პრაქტიკულად შესრულება არ უნდა დაყოვნდეს. აი, მაშინ, საქმეს ეშველება!..

ქართველი კაცი მუდამ მომავლის იმედით ცხოვრობდა და, მოდით, ნურც ჩვენ დავუკარგავთ ხვალინდელი დღის იმედს.

ინფორმაცია

ეწოდა „ქალთა დაცვის კავშირი"

1995 წლის 16 მარტს თბილისში გაიმართა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ქალთა კავშირის" პირველი ყრილობა.

ყრილობამ დაადგინა: პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს ქალთა კავშირს" შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირი".

თამუნა ნუცუბიძე.

თბილისელის სცენარი — ლოს-ანჯელესში

დასრულდა კინოსცენარების მე-6 საერთაშორისო „ჰარტლი-მერილპრაიზის" კონკურსი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისთვის, რომელიც საქართველოში გაიმართა.

ხელოვნებათმცოდნე ირინა კუჭუხიძის ხელმძღვანელობით ჟიურიმ ყველაზე მაღალი შეფასება მისცა სცენარს „ცეკვა პრეზიდენტთან" — ავტორი ინგა გარუჩავა. იგი მესამედ გადის სცენარისტების საერთაშორისო კონკურსის ფინალში. გამარჯვებული სცენარი მონაწილეობას მიიღებს მე-2 ტურში, რომელიც ლოს-ანჯელესში მოეწყობა. აქ წარმოდგენილი იქნება სცენარები უნგრეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან და ჩეხიიდან.

თბილისის კონკურსის სამი სცენარი დაჯილდოვდა ფულადი პრემიით, რომელიც დააწესა კონკურსის გენერალურმა სპონსორმა მურმან ომანიძის ეროვნული ტრადიციების აღორძინების ფონდმა „გეზი" და ფირმა „კოდორმა". პრემიები მიენიჭათ კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს (სცენარი „ნუცას სკოლა"), ჟურნალისტ ირინა ჯორბენაძეს (სცენარი „მელოუ დრამა"), გია ალავიძეს (სცენარი „[illegible] რაფსოდია").

აღიარება

ამ დღეებში სასიამოვნო ამბავი გაგვიცნობეს ბელგიიდან, ქართველი მწერალი თამაზ ჭილაძე შეყვანილია ევროპის გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიულ ცნობარში — EBD (ბრიუსელი).

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ თამაზ ჭილაძის სახელი შეიტანეს ბრიტანულ მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებათა ენციკლოპედიურ ცნობარში — „ვინ ვინ არის?".

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ულოცავს დიდებულ მწერალსა და მოღვაწეს თამაზ ჭილაძეს აღიარებას.

საკადრისად მიეზღათ

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრში აცნობეს, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ქუთაისში გამსვლელ სესიაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე იოსებ ბალათურიას, არსენა გიორგაძისა და მინდია მინდიაშვილის მიმართ.

ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებისათვის, განსაკუთრებული სისასტიკით წამების, მკვლელობის და სხვა სახიფათო დანაშაულობათა ჩადენისათვის ი. ბალათურიას შეეფარდა სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილით დასჯა, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრს ა. გიორგაძეს — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა პირველი 5 წლის საპყრობილეში მოხდით, მ. მინდიაშვილს — 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ ჯგუფის ერთი წევრი, ჩინჩალაძე მოსკოვში დაიღუპა, ხოლო ძოწენიძე იძებნება.

დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება

საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრში აცნობეს, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 1995 წლის 15 თებერვლის განაჩენით თამაზ წიკლაური და ზურაბ ინდუაშვილი დამნაშავეებად ცნეს ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებასა და მკვლელობაში.

თამაზ წიკლაურს შეეფარდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან პირველი 5 წლის საპყრობილეში მოხდით, ხოლო ზურაბ ინდუაშვილს სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილით დასჯა.

სხვა დამნაშავეთაგან ერთმა — ხვიჩა ოდიშვილმა გამოძიების პროცესში თავი მოიკლა, ხოლო მეორე — ქერდიყოშვილი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოკლეს.

იძებნება კიდევ ორი დამნაშავე.

„ბათუმი ინახავს და ამოქმედებს საქართველოს საოპერო პოტენციალს"

(დასასრული)

სახალხო არტისტი ოთარ მეღვინეთუხუცესი: გაოცებული ვარ ბათუმის ოპერის თეატრით, დღევანდელი წარმოდგენით. პირდაპირ დაუჯერებელია, ასე მცირე დროში და ცარიელ ადგილზე უმაღლესი დონის თეატრის შექმნა. ამათ შეუძლიათ ნებისმიერ ქვეყანას გააცნონ ქართული მუსიკალური კულტურის მონაპოვრები, მათ ეს მაღალი შემოქმედებითი სიმაღლით ნამდვილად დაიმსახურეს.

ბათუმელთა „აიდა" დიდი ოსტატების მიერ არის გამოძერწილი, გიგა ლორთქიფანიძის რეჟისურა, მამია მალაზონიას მხატვრობა, დავით მუქერიას ნამუშევარი, ქოროს ღვთაებრივი ჟღერადობა და შემსრულებელთა ნიჭიერება და თავდადება მართლაც საოცარი სახილველისა და სასმენელის მოწმედ გვაქცევს, მართლაც რომ ბედნიერებას გვანიჭებს.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ეთერ გუგუშვილი: ჩვენ დავესწარით თეატრალურ ზეიმს. ჩვენ მოგვენატრა ასეთი ზეიმები, ასეთი შემოქმედებითი აღმაფრენა, რაც ვლინდება სპექტაკლის მსვლელობის დროს. როგორც სცენაზე, ასევე მაყურებელთა დარბაზში სახეზეა ის, რაც ასე იშვიათია დღეს თეატრში — მაყურებლისა და სცენის ერთობა, სულიერი ერთიანობა! დაძაბული წყურვილი, რომ ყოფილიყო გამარჯვება. და გამარჯვებაც მოვიდა!

ამჯერად არ ვაპირებ დაწვრილებით საუბარს დეტალებზე, მაგრამ ერთი რამ უთუოდ — სპექტაკლი შედგა! ყველა მისი კომპონენტი მუშაობს ზუსტად, მკაფიოდ, ჩანს დონე, ჩანს შემოქმედებითი გატაცება, სრული შემოქმედებითი ძალისხმევა — ეს ეხება ქოროს (ა. ჩხენკელი), ქორეოგრაფიას (ბექარ მონავარდისაშვილი), მხატვრების (მ. მალაზონია, ლ. ურუშაძე) ნამუშევარს, სპექტაკლის დამდგმელს გიგა ლორთქიფანიძესა და დირიჟორს დავით მუქერიას. რაც შეეხება ცნობილ მომღერლებს ცისანა ტატიშვილსა (ამნერისი) და ალეკო ხომერიკს (რადამესი) — მათი წარმატება სავსებით ბუნებრივია, მაგრამ მე გამოვყოფ ახალგაზრდებს მარინე ჯახუტაშვილს (აიდა) და ზაზა ხამათაშვილს (ამონასრო), რომლებმაც გამოაცეს თავიანთი მუსიკალური მონაცემებით და სცენური გამომსახველობით.

ქართული თეატრი არასოდეს არ იყო მოკლებული ზრუნვას რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან ადრეც, მაგრამ ასეთ მძიმე პირობებში განსაკუთრებით ძვირფასია ბათუმის თეატრის მაგალითი. არ შემიძლია დიდი მადლობა არ ვუთხრა ბატონ ასლან აბაშიძეს იმ ზრუნვისათვის იგი რომ იჩენს ბათუმის თეატრალური ხელოვნების მიმართ, რომელიც მართლაც ღირსია ამგვარი ზრუნვისა და დაფასებისა.

ერთი დღე დავყავი ბათუმში. ეს ქალაქი შორეული ბავშვობიდან თბილისთან ერთად ჩემი ყველაზე საყვარელი ქალაქია. და მიხარია, რომ დღეს ეს ქალაქი ლამაზი, მშვიდი, ალერსიანი, სავსეა ენერგიით, სიყვარულით ადამიანისა და სიცოცხლის მიმართ.

ჟურნალ „ხელოვნების" მთავარი რედაქტორი ნოდარ გურაბანიძე: ახლა, როცა ვიხილეთ ბათუმელთა „აიდა", დავრწმუნდით, რომ ეს თეატრი მარტო ენთუზიაზმზე არ არის აგებული. ამ დადგმამ დაადასტურა მისი სიცოცხლისუნარიანობა და მდიდარი შესაძლებლობები. ეს არის ჰარმონიული დადგმა დირიჟორის, მხატვრის, რეჟისორის ბრწყინვალე გააზრებით.

სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი: ამ გაჭირვებულ დროს, როდესაც ხელოვნება ძალიან მძიმე დღეშია, ფაქტობრივად დახურულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ქუთაისის საოპერო თეატრი არ მოქმედებს, როგორ შეიძლება არ მივესალმოთ და არ გვიხაროდეს, რომ საქართველოში არის კუთხე, სადაც შესაძლებელია ასეთი რთული ოპერის დადგმა. უმალ საგრძნობია „აიდას" საერთო მაღალი დონე. მომღერლებს თითქმის ყველას ვიცნობდი, მე განმაცვიფრა ზაზა ხამათაშვილმა — კარგი ხმა, გამომსახველი პლასტიკა, მე მგონი, მას დიდი მომავალი ექნება. არ შეიძლება დიდი მადლიერებით არ მოვიხსენიოთ ასლან აბაშიძის წვლილი, თუ არა მისი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, ოპერა საერთოდ შეწყვეტდა არსებობას. ეს იყო ნამდვილი ზეიმი, და ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, მოწყურებული ვართ შეხვედრას მაყურებლებთან, რაც მსახიობისათვის სტიმულია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მუშაობის აზრი ხომ ეს არის.

მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძე: ბათუმი ინახავს და ამოქმედებს საქართველოს საოპერო პოტენციალს.

საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მაია კობახიძე: დიდი სიამოვნება მივიღე, განსაკუთრებით მომხიბლა გუნდის ჟღერადობამ, მაღალი კულტურის რეჟისურამ.

ყოველთვის ინტერესით ველოდებით ქართული თეატრის ოსტატის გიგა ლორთქიფანიძის ახალ ნამუშევარს. მახსოვს როგორი ზეიმი იყო, როცა მან მუსიკალურ თეატრში „მევიოლინე სახურავზე" დადგა. მას მომადლებული აქვს მუსიკის განსაკუთრებული, ფაქიზი აღქმის უნარი, საერთოდ არის უაღრესად მუსიკალური ადამიანი. თეატრალური სახელების მეშვეობით გიგა ლორთქიფანიძემ ვერდის მუსიკას შესძინა მისი ადეკვატური სცენური ფორმა.

სამწუხაროდ, მხოლოდ პირველი შემადგენლობა მოვისმინე, ყველანი ნამდვილი ოსტატები არიან.

განსაკუთრებით ზაზა ხამათაშვილის ბარიტონმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. მას აქვს შემოქმედებითი ზრდის კარგი შესაძლებლობა.

შესანიშნავი პროფესიონალია დირიჟორი დავით მუქერია, კარგია, რომ მას მიეცა საშუალება ზედიზედ ჰქონდეს ასეთი სერიოზული სამუშაო.

მომღერალი თენგიზ მუშკუდიანი: უკვე მესამე სპექტაკლს ვესწრები. ჩემი აზრით, ერთი მეორეზე უკეთესი სპექტაკლები დადგეს ბათუმში ამ ხნის განმავლობაში. „აიდამ" მუსიკალურად ძალზე სასიამოვნოდ და კარგად გაიჟღერა. არც მოველოდი ასეთ წარმატებას — პოპულარული ოპერაა, ყველას ყურში უდგას და იმიტომ. განსაკუთრებით არ მოველოდი გუნდისგან და ორკესტრისაგან. ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდის და ორკესტრის შესანიშნავი ჟღერადობით. დიდი შრომა აქვთ გაწეული დირიჟორსა და ქორმეისტერს; რაც შეეხება წამყვან მომღერლებს ცისანა ტატიშვილსა და ალეკო ხომერიკს, ისინი შესანიშნავ ფორმაში იყვნენ. ცისანა ტატიშვილმა ერთგვარი ცდა ჩაატარა და შესანიშნავად იმღერა, ცოტა ღელავდა, მაგრამ მისმა დიდმა ოსტატობამ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა, ჩვენს წინაშე იდგა მასშტაბური მომღერალი, რომლის ხმა დიდი ემოციურობით და ძლევამოსილებით ჟღერდა.

ზაზა ხამათაშვილისა და მარინე ჯახუტაშვილის სახით ბათუმის თეატრს ბრწყინვალე ახალგაზრდული ხმები ჰყავს, რომელიც სამომავლოდ კარგ ძალებად მიგვაჩნია.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ვასილ კიკნაძე: სამმა საოპერო სპექტაკლმა უკვე მტკიცე ფუნდამენტი ჩაუყარა ბათუმის თეატრს და განსაზღვრა მისი პერსპექტივა, გამოავლინა თეატრის მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი. არ შეიძლება არ გვახარებდეს „აიდას" მაღალი საშემსრულებლო კულტურა, გამოცდილი ოსტატის გიგა ლორთქიფანიძის ხელწერა, მხატვრის მონუმენტური გააზრება, გუნდისა და ორკესტრის ბრწყინვალე ჟღერადობა. გიზო ჟორდანიას რეჟისორობით განხორციელებულ დაუვიწყარ „აბესალომ და ეთერთან" და „ლელასთან" ერთად თანამედროვე ქართულ თეატრს ამშვენებს ახალი, დიდი საოპერო სპექტაკლი „აიდა".

საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი გიზო ჟორდანია: დიდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ბათუმში სპექტაკლის დასადგმელად ქართული თეატრის და კინოს წამყვანი ოსტატი ბატონი გიგა ლორთქიფანიძე ჩამოვიდა. მან შესანიშნავი დამდგმელი ჯგუფი შეკრიბა, თავგანწირვით უმუშავიათ და შედეგიც აშკარაა. მე ვერ გეტყვით, რომ მაყურებელი ვიყავი, ისევე ვღელავდი, როგორც თვით გიგა ლორთქიფანიძე, ალეკო ხომერიკი და ყველა მათგანი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მაყურებელთა დარბაზში ტაში იფეთქებდა ხოლმე...

კომპოზიტორი თენგიზ შავლოხაშვილი: მადლიერება მინდა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, ვინც განახორციელეს ეს მშვენიერი იდეა, რომ ბათუმში გაიმართოს საოპერო სპექტაკლები.

„აიდა" ურთულესი ოპერაა მოგეხსენებათ, და სასიამოვნოა, რომ მან ბათუმში ძალიან კარგად გაიჟღერა. განსაკუთრებით გამოვყოფდი ორკესტრს, რომელიც ჟღერდა მწყობრად, გამოვყოფდი გუნდს და დირიჟორ დავით მუქერიას — ეს არის ნიჭიერი მუსიკოსი, რომელსაც ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს, თუ მას ექნება სამუშაო პირობები, რაც ჩვენთან საკმაოდ რთული მოსაპოვებელია. მუქერიამ ინდივიდუალური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ამ ოპერისა, განსაკუთრებით მეორე აქტში, რის შედეგადაც ყურადღებას იმსახურებენ ახალგაზრდა სოლისტები მარინე ჯახუტაშვილი, მარინე ზვიადაძე, ნონა ჯავახიძე, ზაზა ხამათაშვილი — აიდას, ამნერისის და ამონასროს პარტიების შემსრულებლები.

* * *

მართლაც დასაფასებელია აჭარის ხელისუფლების, პირადად ბატონ ასლან აბაშიძის აქტიური მეცენატობა კულტურის, კერძოდ საოპერო ხელოვნების აღმავლობისთვის. აქ გათავისებული და გაცნობიერებული აქვთ კულტურის მნიშვნელობა და ღირებულება, კარგად ესმით, რომ ერის სახე არის კულტურა, ხელოვნება, ცივილიზაცია. ჩვენ გვჯერა, აჭარის ხელისუფალნი არც შემდგომში დააკლებენ ზრუნვას ოპერის თეატრს, რომელიც თავისი შემოქმედებითი განაცხადით — სამი ბრწყინვალე წარმოდგენით სავსებით იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, სიტყვითა და საქმით ხელშეწყობას.

გიორგი ლალიაშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეც. კორ.
ბათუმი-თბილისი.

სურათზე: სცენა ოპერიდან „აიდა".

სეირან ბაროიანის ფოტო.

საქართველოს ავიაცია: გუშინ, დღეს, ხვალ

არსებობს დარგი, რომლის სახელწოდება ლათინურ „ჩიტს" — „ავის" უკავშირდება, მაგრამ თავისუფალ საქართველოში ავიაცია მაინცდამაინც ჩიტივით თავისუფალი რომ არ არის, ამის საილუსტრაციოდ საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსის ზურაბ ჟანკოტაძის ვრცელი საუბრიდან პატარა მონაკვეთიც კმარა:

— საქართველოს საჰაერო ტრანსპორტი, როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა, ბოლო წლებში ურთულეს პრობლემებს წააწყდა. ადრე იგი შესაბამისი საკავშირო სისტემის ერთ მცირე, ავტონომიურობას მოკლებულ ნაწილს წარმოადგენდა და, ბუნებრივია, დამოუკიდებელი მართვის გამოცდილება არ ჰქონდა. თვითმფრინავების პარკის ფიზიკურმა ცვეთამ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია, გაძვირდა საწვავი, სათადარიგო ნაწილები და სხვა. ქვეყანაში გაჩაღებულმა ომმა კიდევ უფრო გაართულა საჰაერო ტრანსპორტის მუშაობა. ასეთ სიტუაციაში მის წინაშე დადგა საბაზრო-ეკონომიკური სტრუქტურებისა და მექანიზმების შექმნის, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ეფექტიანი გამოყენების, მომსახურების ახალი ფორმების, ბაზრების ძიების, მსოფლიოს საბაზრო სივრცეში ჩართვისა და სხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელების ამოცანები. აუცილებელი გახდა სახელმწიფო მართვის ფუნქციის სამეურნეო მართვის ფუნქციისაგან გამიჯვნა, შესაბამისი მექანიზმების ჩამოყალიბება და ა. შ.

ამავე დროს, დარგის სპეციფიკამ მოითხოვა მარეგულირებელი ბერკეტების სიმტკიცე, მისი გაძლიერება. ამიტომაც უმოკლეს ვადაში შეიქმნა ისეთი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირველი ეტაპის მოთხოვნებს შეესაბამება. ამჟამად ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურების ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი და კომერციული კომპანიები.

— რა შედეგი მოგცათ რეორგანიზაციამ?

— დეცენტრალიზაცია, კონკურენციის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქმნა. ეს უკვე შედეგია. თავისუფალი ფასწარმოქმნა არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას თავისი ფასების დაწესების უფლება ჰქონდეს. იფარება თვითღირებულება და გარკვეული რენტაბელობის ფარგლებში ეტევა საწარმო. საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი მარტო ავიასაწარმოების კი არა, მომხმარებლის ინტერესებსაც იცავს.

— საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი თუ ერევა კომერციული ავიაკომპანიების სამეურნეო საქმეებში და რა იმედებს ამყარებს მათ ეფექტიან მუშაობაზე?

— დღის საქართველოში რვა კომპანიაა, რომელთა საქმიანობაზე ზედამხედველობასაც დეპარტამენტი ახორციელებს. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფლებამონაცვლე გახდა ავიაკომპანია „ორბი", დანარჩენს საკუთარი ბაზა აქვს. ზოგმა იჯარით აიღო თვითმფრინავი, ზოგმა შეიძინა კიდეც. ყველა ავიაკომპანია დამოუკიდებელ საქმიანობას ეწევა და თითქმის ყველა სიცოცხლისუნარიანია. მათი ეფექტიანი მუშაობა უზრუნველყოფს დარგის ტექნიკური ბაზის განახლებას, მომხმარებლის ინტერესების დაცვას, სამამულო კომპანიათა ეკონომიკურ დაცვას უცხოური კონკურენტუნარიანი კომპანიებისაგან და ა. შ.

დეპარტამენტი მათი საქმიანობის, მოღვაწეობის სახელმწიფო რეგულირების ორგანოა და მათ სამეურნეო საქმეებში არ ერევა. იგი თავის მარეგულირებელ ფუნქციებს ახორციელებს რიგი ბერკეტებისა და სტრუქტურების გამოყენებით.

— თუ ავიაკომპანია „ორბი" საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფლებამონაცვლეა, ალბათ, „მემკვიდრეობაც" არასახარბიელო იქნება...

— დიახ, „ორბი" ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. ყველა ვალი, რაც კი სამოქალაქო ავიაციას ჰქონდა, მას დააწვა კისერზე. ამას გარდა, მის მხრებზე გადაიარა აფხაზეთში კონფლიქტმა (რაც კი ავიაციასთან იყო დაკავშირებული) და დიდი მატერიალური ზარალიც განიცადა. მარტო სახელმწიფოს ვალი 22 მილიარდ რუბლს შეადგენს. მართალია, მისი დაბრუნების იმედი არც გვაქვს და კარგახანს არც გვექნება, მაგრამ სახელმწიფომ გარკვეული შეღავათების მინიჭებისათვის მაინც უნდა იზრუნოს.

ფრთები, ფრთები გვინდა...

ვისაც მთავრობის ტელეფონი უდგას, ყველა განკარგულებას იძლევა, ვინ თურქეთში გასამგზავრებლად ითხოვს სპეციალურ რეისს, ვინ — კიევში... დავალიანებას დავალიანება ემატება (ქაღალდზე), მინისტრთა კაბინეტი კი ფაქტობრივად გადახდისუუნაროა.

— რა გიჭირდებათ „დიდკაცთა" „პატარა ჭირვეულობა"?

— ერთ-ერთმა მინისტრმა მოსკოვში გადაფრენა დიდი თვითმფრინავით მოითხოვა. „იაკ-40" შევთავაზე, რომლის ხარჯი 6 მილიონ მანეთს შეადგენდა. მინისტრმა კი თავისი გაიტანა, რაც თბილისში გაწეული ხარჯების გარდა 33-34 მილიონი მანეთი დაგვიჯდა.

ავიაცია ისეთი დარგია, რომელსაც რეალური შემოსავალი აქვს, ამიტომაც შთაბეჭდილება მექმნება, თუ დარგი ან საწარმო ამოქმედდა, ასეთი გამოხდომებით ყველა ხელს უშლის, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. არადა, საქართველოს ავიაცია განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზეა, მალე პრივატიზება უნდა დაიწყოს. ვალები კი მძიმე პირობებს გვიქმნის.

— როგორც ვიცით, არ არსებობს საქართველოს საჰაერო კოდექსი. რა ნორმატიული აქტებით რეგულირდება შემსრულებლისა და მომხმარებლის ურთიერთობა და რას ეფუძნება ის ქვეპუნქტები, რითაც საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს?

— სამ თვეზე მეტია პარლამენტში შეტანილი გვაქვს უმაღლეს საერთაშორისო დონეზე დამუშავებული, ყველა ინსტანციის მიერ აპრობირებული, საქართველოს პირველი საჰაერო კოდექსის პროექტი. საკანონმდებლო ორგანოში მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტების განხილვა-მიღების ნაცვლად შევარდნაძის „საქმის" ჩხრეკა-ძიებასა და უაზრო, უსაფუძვლო ბრალდებების წაყენებისათვის კარგავენ დროს. ამიტომაც დღემდე საშველი არ დაადგა საჰაერო კოდექსის მიღებას, რაც ხელს შეუწყობს ავიაციაში წესრიგის დამყარებას, მოაგვარებს შემსრულებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობას, გააძლიერებს შემსრულებლის პასუხისმგებლობას. კოდექსს — უმაღლეს კანონს — უნდა დაეფუძნოს ის ქვეაქტები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს დეპარტამენტმა.

— თუ ყველა პრობლემა გადაიჭრება (მათ შორის ვალიც დაგიბრუნდებათ) რა წვლილს შეიტანს სამოქალაქო ავიაცია ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში?

— საბედნიეროდ, სახელმწიფოს მეთაურისაგან მხარდაჭერა არ გვაკლია, მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებას მეტად უნდა შესტკიოდეს გული ავიაციისათვის. „საქენერგომაც" უნდა გაითვალისწინოს ჩვენი მუშაობის სპეციფიკა და მაქსიმალურად საიმედოდ მიაწოდოს აეროპორტს ელექტროენერგია, რადგან აეროპორტის გამოთიშვა იწვევს საერთაშორისო განრიგის არევას და მგზავრთა უკმაყოფილებას.

თუ ვალი დროულად დაგვიბრუნდება, ყველა პრობლემა გადაიჭრება. ჩვენი გაანგარიშებით სამოქალაქო ავიაციას ყოველწლიურად 64 მილიარდი რუბლი მოგება უნდა დარჩეს (შემოსავალი ხუთი ამდენი იქნება). ეს კი თავისთავად დადებით გავლენას მოახდენს დარგის განვითარებასა და აქ დასაქმებულთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. რაც მთავარია, შოსიიდან სახელმწიფო ბიუჯეტსაც სოლიდური თანხა მიემატება. დღეს რაც ქუთაისსა და სენაკში რუბლია შესული, ძირითადად ამ ქალაქების აეროპორტის მუშაობის შედეგია. მარტო ორი რეისი ქუთაისის აეროპორტს 2 მილიონ რუბლზე მეტ შემოსავალს აძლევს.

— შარშან, წლის დამლევს, თბილისში გაიმართა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ავიატორებისათვის ამ ფორუმს?

— შარშან საქართველო სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანდა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვცნეს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც საავიაციო ადმინისტრაცია. სწორედ ამის დასტური იყო კონფერენცია, რომელიც შარშან გაიმართა. სამწუხაროდ, მონაწილეობის მისაღებად არ ჩამოვიდა ირანისა და თურქეთის დელეგაცია, რაც ჩვენთვის (განსაკუთრებით თურქეთი) ძალზე მნიშვნელოვანი იყო. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის შედეგია სომხეთის დელეგაციის ვიზიტი. მათი ჩამოსვლა საჰაერო სივრცის მართვის სისტემების ინტეგრაციისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკვე გაფორმდა ოქმი რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო საზღვრების დაზუსტება-დამტკიცებისათვის. ეს ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის კიდევ ერთი დასტურია. ერთი სიტყვით, საგარეო ურთიერთობებში საქართველოს ავიაციას პრობლემები არა აქვს.

მხოლოდ მშობლიური მიწიდან ააფრენად „ფრთები, ფრთები გვინდა, კიდევ ფრთები გვინდა".

ესაუბრა
ლეილა კოშკაძე.

ღირსეული რევანში

შაბათს, 18 მარტს ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და სამტრედიის „სამტრედიას" შორის. ამ მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია საფეხბურთო წრეებში. სტადიონზე მოსულმა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა იხილა ლამაზი თამაში ორივე გუნდის შესრულებით. პირველი მატჩი სამტრედიელებს მოგებული ჰქონდათ 2:0, ამიტომ დინამოელებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს მატჩი, და, სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ პირველი ტაიმი მათ მოიგეს 3:0 (გოლები — ქინქლაძე, იაშვილი, ანჩაბაძე).

მეორე ტაიმში სამტრედიელთა თამაში უფრო გააზრებული ჩანდა. მატჩის 54-ე წუთზე დათო ჯანაშიამ კარგად ისარგებლა დინამოელ მცველთა შეცდომით და ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 3:1. გოლი, რომელიც მრავალსვლიანი კომბინაციის შედეგად 59-ე წუთზე გაიტანა დინამოელმა კიკნაძემ, ალბათ ყველა რანგის ტურნირს დაამშვენებდა. მსაჯმა მალაღურაძემ ცენტრისკენ აჩვენა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ სამტრედიელი ფეხბურთელები. ისინი თვლიდნენ, რომ მანამდე იყო ჯარიმა და მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. ამ ინციდენტის მთავარი მოქმედი პირი ცომაია კი მოედნიდან გააძევეს. დინამოელთა გამარჯვებას წერტილი 79-ე წუთზე ყაველაშვილმა დაუსვა 5:1. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ჯამარაულის შესანიშნავი თამაში მთელი შეხვედრის მანძილზე.

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდა თბილისის „დინამო".

იაგო სამანელი.

სადღეისო სწორი არჩევანი თქვენი საქმის სახვალიო წარმატებაა!

MaService
ITALY

ცნობილი იტალიური ფირმა „მასერვისი" ორგანიზაციებს, ფერმერულ მეურნეობებს და კერძო პირებს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის სთავაზობს მანქანებს, მოწყობილობებს, ხაზებსა და დანადგარებს.

მეფრინველეობისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორში: მანქანებს
— დასათესად და გადასარგავად [illegible] მოსნორჩებისათვის;
— დასაჩეხელი ფირის დაგებისათვის;
— დანნებილ კუბურებიანი ჩითილებისათვის;
— დამხმარე რწყვისათვის;
— სათბურების მოსაწყობად, სათბურის [illegible] ჯვირაზის გასაყვანად;
— მოსავლისა და ფირების ასაღებად;

გადამამუშავებელი დარგებისათვის: ხაზებსა და დანადგარებს
— ხორცის გადასამუშავებლად;
— რძის გადასამუშავებლად;
— პურ-ფუნთუშეულისა და მაკარონის [illegible];
— საკვები პროდუქტების, ხილისა და [illegible] მუშავებლად, დასაფასოებლად და შესაფუთად;

აგრეთვე:
— საფქვავ დანადგარებსა და წისქვილებს;
— მოწყობილობის კომპლექტს „სწრაფი კვების" („Fast Food") მინი-რესტორნებისათვის პიცისა და [illegible] დასამზადებლად;
— საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკას.

მყიდველებს ეძლევათ მოწყობილობის ლიზინგის წესით შესყიდვის საშუალება. დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ „მასერვისის" მოსკოვის წარმომადგენლობაში:
ტელეფონები: (095) 155-43-51; 155-46-00;
ფაქსი: (095) 151-06-52; 155-45-46.
მისამართი: 109028, ქ. მოსკოვი, სერებრიანიჩესკის შეს. 5, შენობა 2. 123056, a/я 32.

ხსოვნა

სერგო ვაშაყმაძე

გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი სერგო ვაშაყმაძე.

დაიბადა 1901 წელს. [illegible] ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ — 1924 წლიდან — ბატონი სერგო მოღვაწეობდა აფხაზეთში, სადაც მათემატიკის სწავლებას უთავსებდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას — მისი მონაწილეობით გაიხსნა ქართული სკოლები, შეიქმნა და დაინერგა სახელმძღვანელო პროგრამები, [illegible] მასწავლებელთა [illegible] ამ [illegible] აღზრდილმა [illegible] აფხაზეთში [illegible] ნაწილი შეადგინა.

1930 წელს სერგო ვაშაყმაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობდა თბილისის 26-ე [illegible] საცდელ-სანიმუშო სკოლებში, ხოლო ომის შემდეგ [illegible] განათლების სისტემის ხელმძღვანელ სამუშაოზე, მასწავლებლად თბილისის სხვადასხვა სკოლებში.

ჯერ კიდევ 1933 წელს მისი თაოსნობით გაიმართა მათემატიკური ოლიმპიადა, რომელიც პირველი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირში. პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად ვაშაყმაძე ეწეოდა სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის [illegible] სახელმძღვანელოების, [illegible] სტატიების რესპუბლიკურ და [illegible] ჟურნალებში.

ს. ვაშაყმაძე დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, არაერთი მედლით და [illegible] მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მის ნამოწაფართა შორის [illegible] მეცნიერები და ხელოვნების, ტექნიკისა და განათლების [illegible] მოღვაწენი.

ბატონი სერგო ვაშაყმაძის — ახლობლების, [illegible] აღზრდილების, [illegible] და ნათელი [illegible] ხსოვნა [illegible] ებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

იროდი ფიფია



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ აღარ ხარ ჩვენს შორის. წავედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი.

ძნელი შესაგუებელია, რომ წარსულში გიგონებთ. შენ ხომ 30 დეკემბერს შესრულდა 67 წელი. შენმა უეცარმა გარდაცვალებამ უსაზღვროდ დაგვამწუხრა, [illegible]

[illegible]

შენი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი დარჩება ჩვენს გულებში.

შენი [illegible]

დედა ნატო, მამა ვაჟა, და ნინო, ბებო გიორგი, ბიძა ზურაბი, ბიცოლა თამილა, ბიძაშვილები თამრიკო, ლია, ია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ვაჟას ძე ადამია

პანაშვიდი: 21, 22 III — 15 საათზე.
დაკრძალვა: 23 III — 14 საათზე, ჩანდუკელის ქ. № 1 (ყოფილი [illegible]).

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება თანაუგრძნობს ვაჟა ადამიას ოჯახს შვილის

გიორგი ვაჟას ძე ადამიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტი თანაუგრძნობს უცხოეთის პარლამენტის წევრს, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის ბატონ ვაჟა ადამიას შვილის

გიორგი ადამიას

დაღუპვის გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

გიორგი (გია) ვაჟას ძე ადამია

და თანაუგრძნობს უცხოეთის მის ოჯახს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 22 მარტიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

ავსტრალიური დოლარი	978,834.22	კუპონი
ავსტრიული შილინგი	133,779.17	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,093,867.03	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	456,067.97	კუპონი
გერმანული მარკა	941,458.18	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	838,892.23	კუპონი
დანიური კრონი	233,636.67	კუპონი
100 იტალიური ლირა	77,733.01	კუპონი
კანადური დოლარი	927,549.86	კუპონი
ნორვეგიული კრონი	210,273.55	კუპონი
აშშ დოლარი	1,300,000.00	კუპონი
ფინური მარკა	302,239.68	კუპონი
ფრანგული ფრანკი	264,646.20	კუპონი
შვედური კრონი	181,977.98	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	1,136,716.92	კუპონი
10 იაპონური იენი	146,115.82	კუპონი
ეკიუ	1,718,078.13	კუპონი
10 ესპანური პესეტა	102,389.79	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	57,928.86	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2,085,994.92	კუპონი
ისლანდიური კრონი	20,376.67	კუპონი
ქუვეითური დინარი	4,445,573.36	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	8,020.75	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	88,932.88	კუპონი
სინგაპურული დოლარი	929,914.25	კუპონი
10 თურქული ლირა	313.78	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	385,849.25	კუპონი
რუსული რუბლი	1 276.00	კუპონი
ლატვიური ლატი	328,967.16	კუპონი
ლიტვური ლიტი	2,414,114.04	კუპონი
ესტური კრონი	118,003.80	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	924.60	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	21,047.76	კუპონი
მოლდავეთის ლეი	300,387.36	კუპონი
ყირგიზეთის სომი	121,823.64	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	1,164.72	კუპონი
უზბეკეთის სუმი	52,627.68	კუპონი
აზერბაიჯანის მანათი	303.60	კუპონი
სომხური დრამი	3,237.48	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გო